



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

AVRIL

1938 — № 145

აპრილი

1938 წ.

№ 145

# დავით უკიდავალი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ხ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## მ ი ნ ა ა ტ ხ ი :

მეთაური—რომის შეთანხმება.  
 ვ. ბონჩკოვსკი—პრომეთეს პრობლემა.  
 გ. ქუთუღი—ბათუმ-აჭარის მხარეები.  
 ს. ფინტსალაგა—ისტორია მეორდება.  
 ე. თაყაიშვილი—ჩუმი მოღ. ი. დადიანის ხსოვნას.  
 ს. შავიშვილი—ღია წერილი ე. «კავკაზის» რედაქ.

მ. —ძე—ილია.  
 ყ.—დიდი გერმანია.  
 —. მოხსენება საქართველოზე.  
 ენევა კიდევ რუსთაველზე.  
 პრესა.  
 წერილი რედაქციის მიმართ. და სს.

## რ ო მ ი ს შე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

რომის შეთანხმება, რომელსაც ასე დიდი ადგილი დაუთმო საერთაშორისო პრესამ, წარმოადგენს, მისი ავტორების აზრით, ერთგვარ ისტორიულ მიჯნას, საიდანაც უნდა დაიწყოს ახალი ხანა ძველი საკონფლიქტო კითხვების ლიკვიდაციისა და ხანგრძლივი მშვიდობიანობის დამკვიდრებისა დასავლეთ ევროპაში. უნებურად გვახსენდება ამერიკის ყოფილ პრეზიდენტის ჰუვერის წინასწარმეტყველება, რომელიც გააკეთა ამას წინაღ, მთელი ევროპის დავლის შემდეგ, ლონდონში: ომი არ მოხდება ევროპაში! ცხადია აქედან, რომ ის ყველას გარდაუვალი ეგონა, ამიტომ თავისუფლად ამოისუნთქეს ჰუვერის «ანკეტი» გაგონებაზე.

საკონფლიქტო კითხვა ერთობ ბევრი დაგროვდა, როცა ნევილ ჩემბერლენი დიდი ბრიტანეთის პრემიერი გახდა, და ამიტომ სწორედ მან დაისახა მიზნად მათი ლიკვიდაცია. მაგრამ მისი პირველი ნაბიჯები, როგორცაა: «ჯენტლმენს აგრიმენტი» მუსოლინთან, ან ლორდ ჰალფაქსის დარბაზობა პიტლერთან მარცხით დამთავრდა. ისპანიის სამოქალაქო ომმა კიდევ უფრო დაამოწრა დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს, ამან ხელი გაუხსნა იაპონიას და დაიწყო ომი შორეულ აღმოსავლეთში; გაჩნდა ბერლინ-რომის ღერძი, რომელმაც, ავსტრიის გერმანიასთან გაერთიანებით, შუაზე გააპო ევროპა.

საჭირო შეიქნა უფრო რადიკალური ზომა, და ეს გამოიხატა იმაში, რომ ჩემბერლენმა გადასინჯა

ინგლისის პოლიტიკა ერთა ლიგის მიმართ და მისი სულის ჩამდგმელის იდენის ნაცვლად ლორდ ჰალფაქსი მოიწვია საგარეო მინისტრად, რასაც კმაყოფილებით შეხვდნენ განსაკუთრებით რომში. იდენი, უკანასკნელის თვალში, სანქციების ავტორი იყო, და აქედან ეწინააღმდეგებოდა აბესინიის ანექსიის ცნობას. უამისოდ კი რომს არ სურდა მორიგება ლონდონთან.

მაშასადამე, ეს მთავარი დაპროვლება უნდა გადაელახათ და ჩემბერლენმა გადასწყვიტა თავისთვის, რომ იცნობს ვიქტორ-ემანუელს აბესინიის იმპერატორად, თუ სხვა კითხვები მოგვარებულ იქნებაო. უმთავრესი კითხვა, რა თქმა უნდა, ხმელთაშუა ზღვის დაზავება იყო და მით საიმპერიო გზების უზრუნველყოფა. მეორეს მხრით, ისპანიის პოლიტიკური და ტერიტორიალური ხელუხლებლობა უნდა აღიარებულიყო, როგორც გარანტია ჩრდილო აფრიკეთთან მიმოსვლის უზრუნველსაყოფელად. შემდეგ მოდის სუეცის არხის და წითელი ზღვის თავისუფლება, ეგვიპტის უზრუნველყოფა ლიბიის მხრით, ანტიბრიტანულ პროპაგანდის შეწყვეტა არაბთა ქვეყნებში და სხვა.

როგორც ხედავთ, სადავო ბევრი რამ ჰქონდათ ინგლისსა და იტალიას, და, თუ რომის შეთანხმებას ეღიბა რატიფიკაცია, ცხადია, ამას ექნება უდიდესი მნიშვნელობა საერთაშორისო მეტად შერყეულ მდგომარეობის განსამტკიცებლად. რომ-

ში განსაკუთრებით იმ გარემოებას უსვამენ ხაზს, რომ ეს პირველადაა, იტალიის გაერთიანების შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა იცნო იტალიის სწორუფლებიანობა, და ეს ორი იმპერია მერმისში ურთიერთ ღირსებისა და პატივმოყვარეობის შეჯღახველად ივლიან. ლონდონში, სამაგიეროდ, ერთმანეთს ულოცავენ, რომ იტალიასთან ტრადიციული მეგობრობის აღდგენა ინგლისის შეაძლებინებს უფრო მტკიცედ დაიცვას თავისი დიდი ინტერესები წყნარ ოკეანეს ნაპირებზედ.

მაგრამ ჩვენთვის, კავკასიელებისათვის. ნამდვილი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ინგლის-იტალიის შეთანხმებას. მართალია, უკანასკნელი არაფერს ამბობს კავკასიაზე, არც მის დიდ მეზობლებზე ჩრდილოეთით თუ სამხრეთით—და ეს ხომ ფორმალურად სხვის საქმეებში ჩარევა იქნებოდა—მაგრამ ვინ არ იცის, რომ ორივე სახელმწიფო დაინტერესებულია მცირე აზიის სვე ბედი! ამას ისინი არც მალავენ, სირიას თუ პალესტინას. ან კიდევ სუეცის არხს გულისხმობენ მცირე აზიაში, ხოლო ერთი ცნობა უკვე აშკარად ჰყოფს, რომ საგარეო მინისტრს ჩიანოს და ლორდ პერთს სხვა რამეზეც ჰქონიათ ბაასი. ეს გახლავს რომის განზრახვა ხელი მოაწეროს მონტროში გადასინჯულ სრუტეების კონვენციას, რომელიც უნდა მოხდეს ალბად ჩიანოს სტუმრობის დროს ანკარაში.

ვინ არ იცის, რომ აბესინიის კონფლიქტს ორი ამბავი მოჰყვა: ინგლისის მუიდრო დაახლოება-მეგობრობა თურქეთთან და უკანასკნელის დაშორებულუნდობლობა იტალიასთან. ეს იყო მიზეზი, რომ რომმა თავისი წარმომადგენელი არ გაგზავნა მონტროში და კონვენცია თავისთვის სავალდებულოდ არ იცნო. ამრიგად, თითქო ძალა დაეკარგა თურქეთ-იტალიის მეგობრობის პაქტს, რომელიც დადებულ იქნა 1928 წელს, ინგლისის საგარეო მინისტრის განსვენებულ ოსტენ ჩემბერლენის უჩინარი დახმარებით. ამიტომ ფრიალ საგულისხმობია, რომ სწორედ მის ძმას, ნევილ ჩემბერლენს უხდება ძველი მდგომარეობის აღდგენა!

საკმარისია თვალი გადაავლოთ ლონდონის დიდ პრესას, რომ მაშინვე მიხვდეთ, რა ზომამდე მიუღწევია ინგლის-თურქეთის ნამდვილ საქმიან დამოკიდებულებას. მე-19 საუკუნის მფარველობა ბრწყინვალე პორტისა, ეგრედ წოდებულ დიზრაელის პოლიტიკა ეკონომიურ თანამშრომლობის პოლიტიკამ შესცვალა: სიტის კაპიტალი უხვად იხარჯება დღეს თურქეთის ნორჩ მრეწველობის განსავითარებლად, ჩქარა მომავალში მას არ დასჭირდება უც-

ხოეთის დახმარება, თუ გინდ, თავის სამხედრო ძალების მოკანხვა-შეიარაღებისათვის.

იმავე დროს, ცნობილია იმავე სიტის თანამშრომლობა მეორე ჩვენი მეზობლის, ირანის ასალორძინებლად. მოსკოვის დამნგრევი გავლენა თანდათან ადგის უთმობს თეირანში ინგლისის დადებით გავლენას. ამიტომ საადაბადის ცნობილი პაქტი, რომელზედაც ხელი უწერიათ თურქეთს, ირანს, ერაყს და ავღანისტანს, ინგლისის მეგობრულ რჩევას მიეწერება, რასათვის მოსკოვის პრესა ასე განხილვებით ესხმოდა თავზე თავის «მეგობარ» თურქეთს!

ხედმეტია შეჩერება ინგლისის ინტერესებზე კავკასიაში, ეს ყველამ ვიცოდით წინედ და ესლა უკედ ვიცით მარტო ზემო თქმულიდანაც: მისი მტკიცე კავშირი ჩვენი მეზობლებთან სამხრეთით. ხოლო ამ კავშირს, შეიძლება, ის სარგებლობა არ მოეტანა კავკასიისათვის, თუ ინგლისი და იტალია მოქიშვე ძალებად დარჩებოდნენ საზოგადოდ მცირე აზიაში. ჩვენი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ხანა იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ იტალიამ, როგორც ყველაზე უახლოესმა დიდმა სახელმწიფომ, გეოგრაფიულად, იმ თავითვე დიდი ინტერესი გამოიჩინა კავკასიის მიმართ: მისი სავაჭრო ფლოტი თითქმის ერთად ერთი იყო, რომელიც გვაკავშირებდა დანარჩენ ქვეყნიერებასთან; მისმა დიდმა ეკონომიურმა კომისიამ, სენატორ კონტის მეთაურობით, საფუძვლიანად შეისწავლა კავკასიის და მის გადაღმა ქვეყნებთან სავაჭრო და სამრეწველო დამოკიდებულების დიდი პერსპექტივები; მისმა ფინანსისტებმა გახსნეს პირველად კავკასია-იტალიის ბანკი ტფილისში; იტალიასთან შეიკრა კონცესიები... რაღა გაგვარძელოთ, იტალიის ეკონომიური ინტერესები კავკასიაში, მის გადაღმა, განსაკუთრებით შავ ზღვაზედ ისე დიდია, რომ მათი აბუჩად ავლება ინგლისის მიერ უომრად ვერ ჩაივლიდა, რაიცა ძალაუნებურად უფრო პირდაპირ დაინტერესებულ თურქეთის და ირანის ჩარევასაც გამოიწვევდა, და ეს კარგს არ უქადიდა კავკასიას.

ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ ჩვენ ასეთ დიდ და დადებით მნიშვნელობას ვაწერთ რომის შეთანხმებას კავკასიის განმათავისუფლებელ საქმისათვის. ჩვენ კიდევ მოგვიხდება არა ერთხელ ამ სავანზე სჯაბაასი, ესლა კი აღვნიშნავთ გაკვრით, თუ რა დაუშვებელ, ანტიკავკასიურ მუშაობას ეწევა «კავკასია» ექვს ენაზე, როცა გვწამებს ქართველებს თურქეთთან მტრობას, ან კიდევ უკანასკნელზე იტალიის წასისინებას! თუ მათ დაუჯერებთ, ჩვენ ამას



მოსკოვისადმი «მეგობრობით» ჩავდივართ! ცხადია, ვინ აბრუნებს სტალინის ჩარხს, შეუგნებლად?

ჩვენა ვსთქვით, რომ რომის შეთანხმებას ჯერ ცოტა დაბრკოლება არ უძევს წინ: ინგლისის შემდეგ საფრანგეთი უნდა შეუთანხმდეს იტალიას, და ეს სამი დიდი სახელმწიფო—გერმანიას, ოსიციე კი. უთუოდ პოლონეთის მონაწილეობით, იმედია, შეკვრენ მეორე «ლოკარნოს», რომელიც ხანგრძლივ დაწავებს დასავლეთ ევროპას... და ეს ნამდვილი ლახვარია მოსკოვისთვის, «პრავდა» უკვე არ მალავს ამას.

ამ დიდი გადატეხის ხანაში, რომელსაც უნდა მოყვეს საბჭოთა გულშემზარავ «ერთა საპრობილეს» დამხობა, კავკასიის მებრძოლ ერებს, სრული დაიმედებით შეგვიძლია ვსთქვათ, ხელსაყრელი სერთაშორისო ვითარებაც შეუწყობს ხელს მათი დამოუკიდებლობის აღსადგენად, კონფედერაციის დროშის ქვეშ.

**პ რ ო მ ე თ ე ს პ რ ო ბ ლ ე მ ა \* )**

ვ. ბ ო ნ ჩ კ ა ვ ს კ ი ს ა

შესავალი.

ი. კუხაყევსკიმ, თანამედროვე რუსეთის საუკეთესო მკვლევარს, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რუსებისთვის ყველაზე ნაკლებ გაუგებარს, და მასთანვე ყველაზე უფროსავე საუკეთესო არიან რუსოფილი პოლონელები. რუსებმა კარგად უწყვიან, თუ რას უკარნახებს პოლონეთის ისტორია და გეოგრაფიული მდგომარეობა. ანტირუსულ მიდრეკილებას პოლონეთში მოსკოველები უყურებენ, როგორც გამოხატულებას იმისა, რომ ადრე თუ გვიან აქ უნდა გაბატონდეს პოლიტიკური რეალიზმი; რუსეთის პოლიტიკაც პოლონეთის მიმართ აგებულია იმნაირად, რომ წინაუღედეს ამ ანტირუსულ პოლიტიკურ რეალიზმს. ეს ემჩნევა სხვათა შორის პოლონეთ-რუსეთის დამოკიდებულებას პრომეთეს საკითხების საფუძველზე. როგორც პრომეთეს მოქმედების გაცხოველებას პოლონეთში, ისე მის დასუსტებას ან თუნდაც მთლიან გაუქმებას არ აქვს არავითარი ღრმა მიზეზობრივი კავშირი საბჭოების საწინამდეგო აქციის გაცხოველებასთან, დასუსტებასთან თუ მოსპობასთან. მაშასადამე ყოველგვარი შიში პოლონეთ-მოსკოვის დამოკიდებულებათა ახსნის, პრომეთეს საკითხის აქტიური ინტერპრეტაციით, არც სერიოზულია და არც არსებითი. უნდა ითქვას პირიქით, რომ აქტივიზაცია პრომეთეს საკითხისა საბჭოებისთვის არა ხელსაყრელ მომენტში (და სწორედ ახლა ვართ მოწმენი შესაფერი მომენტის), არის მიზანშეწონილი გამოყენება შესაფერი დროის, რომ გადაწყვეტილი იქნეს პოლონეთ-მოსკოვის

აუცილებელი დავა. გასაგებია, რომ რუსეთის სურვილია ეს დავა გადაიდვას იმ დროისთვის, როცა მოაგვარებს თავის საგარეო დაბრკოლებებს და ამა თუ იმ გზით თავის საქმეებს შორეულ აღმოსავლეთში. და სწორედ ეს შემდეგ იქნებოდა ხელსაყრელი პაციფისტიებისთვის, პრომეთეს მოწინამდეგეთათვის და პოლონეთის რუსოფილებისთვის, მხოლოდ შემდეგ პოლონეთი იძულებული იქნება ბრძოლის ანგარიში გაასწოროს მისთვის არახელსაყრელ მომენტში, რასაც შეუძლია მიიყვანოს სრულ დამარცხებამდე.

ამრიგად, პაციფისტები, ანტიპრომეთული ფორმტი, ომის წინა ხანების რუსოფილები, რომელნიც ჩვენ გვაბრალებენ, რომ ვითომ «ომის ანთება გვსურს», არიან ნებისთ თუ უნებლიედ რუსეთის საბჭოების მომხრენი და მუშაობენ იმ მიმართულებით, რომ გადასდონ რუსეთთან ანგარიშის გასწორება, სანამ გაძლიერებული რუსეთი, ყოველგვარ პაციფისტურ ოცნებებს მოკლებული, პოლონეთის წინამდეგ ბრძოლას დაიწყებს.

ჩვენ ვგრძნობთ, თუ როგორია პოლონეთ-მოსკოვის ნამდვილი დამოკიდებულება და ვგრძნობთ იმასაც, რომ უნდა ვიყოთ სრულიად დამოუკიდებელი მოსკოვ-მასონ-მარქსიზმისაგან, და ამიტომ პრომეთეს საკითხი უნდა დავსვათ ფართე პოლიტიკურ სახით და გულახდილად აღვიაროთ, თუ რა გვსურს.

პოლონეთი და პრემეთეიზმი.

პოლონეთის დაყოფის ხანაში რუსეთის მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა 20 მილიონ სულს, პოლონეთის—12 მილიონს, პრუსიის კი—4 მილიონს. ძალთა დამოკიდებულება არა პოლონეთის სასარგებლოდ იყო როგორც 1:2. დღეს კი საბჭოები 165 მილიონიანი ბუმბერაზია, პოლონეთის მცხოვრებთა რიცხვი კი დაახლოვებით უდრის 33 მილიონს, გვერთიანებული გერმანიისა კი—63 მილიონს\*). ამ რიგად გერმანია და რუსეთი ერთად შეერთებული შვიდჯერ მეტია, ვინემ პოლონეთის მცხოვრებთა რიცხვი.

ეს ზრდა მეზობელთა სიძლიერისა და შედარებითი დაქვეითება პოლონეთისა დაიწყო საკმაოდ დიდი ხანია. უკვე მე-16 საუკუნეში მოსკოვი გამოდის ასპარეზზე არა როგორც ვასალი მე-15 საუკუნიდან დაბეჩავებულ ოქროს ურდოსი, არამედ როგორც წარმომადგენელი მესამე რომისა, გერმანელები კი ლუტერის ახალი მითით უპირდაპირდებიან ხოზიუშას და სკარგის პოლონეთს. მე-17 საუკუნის ნახევარში ხდება პოლონეთის პირველი დაყოფა (1648-1665). პოლონეთის არსებითი პრობლემა ისაა, რომ მეზობელთა ზრდის პროცესი დღესაც გრძელდება. გერმანელები დღესაც სულდგმულაობენ ანშლუსის პლანით, სუდეტის გერმანელების შემოერთებით და პოლონეთის ანგარიშზე საზღვრების გამოსწორებით აღმოსავლეთში. რუსეთი კი უთვალთვალებს პოლონეთს ჩრდილოეთის დამშეულ ბავშვის თვალთ და მას შემდეგ, რაც დაკარგა

\*) თარგმნილი პოლონურიდან. ეურ. «ვსხუდ». იანვარი-მარტი. 1938 წ.

\*) ავსტრიის შეერთებამდე. რე.

დასავლეთში მიწები, ფაქტიურად იმორჩილებს გარეშე მონგოლიას და ჰქმნის კომუნისტურ რესპუბლიკას ჩინეთში. «რუსეთის სახელმწიფოს ძლიერების გამომხატველია დაპყრობა», სწერდა ვ. ივანოვი 1926 წელს. რომ იაპონიის ფაშინში ძლიერ იქნეს აღმოსავლეთში, უნდა განადგურდნენ მისი თანამგრძობნი დასავლეთში—აი ლოზუნგი საბჭოების საგარეო პოლიტიკისა. საბჭოები აწარმოებენ ბრძოლებს ისპანიაში და მხარს უმაგრებენ ტერორისტულ აქტებს შანჰაის ფრონტზე; აწყობენ სახალხო ფრონტებს ევროპაში და აქეზებენ ჩინეთის დევს იაპონიის წინამძღვე საბრძოლველად. 1905 წელსა და 1914-17 წლებმა რუსეთს დაპყრობითი მადა არ შეუშტორა, და გერმანიას 1914 20 წლების დამარცხებამ შეტევითი გეგმების უარი არ ათქმევინა. მეზობელთა ძალების ზრდა დღესაც გრძელდება. პოლონეთის კი კლებულობს. პოლონეთის ტერიტორია მე-15 საუკუნეში შეიცავდა 1 მილიონ კვ. კილომეტრზე მეტს, დღეს არ აღემატება 338.000 კვ. კილომეტრს თვალწინა—როგორც «უცვლელი რამ—კერძინის და რუსეთის განვითარების ტენდენცია».

ამ განვითარების მიდრეკილებას აქვს კიდევ ერთი ასპექტი, რომელსაც დღემდე ყურადღება არ ექცეოდა, ეს არის გამრავლების საკითხი პოლონეთსა და რუსეთში, ევროპასა და ევრაზიაში. რუსეთს, რომელსაც უჭირავს აუარებელი თავისუფალი ადგილები შინაურ კოლონიზაციისთვის, განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვს, გამრავლებული მოსახლეობა მოათავსოს თავის სახელმწიფოს საზღვრებში. 80 წლის შემდეგ რუსეთის მცხოვრებთა რიცხვი შეიძლება 500 მილიონამდე ავიდეს. ამავე დროს ვხედავთ, რომ დაბადებულთა რიცხვი კლებულობს ევროპაში, პოლონეთში კი დაბადება სუსტდება. გასულ წელს დაბადებულთა რიცხვი საფრანგეთში 12.000 სულით ნაკლები იყო, ვინემ მკვდართა რიცხვი. 1980 წლისთვის საფრანგეთის მცხოვრებთა რაოდენობა შეიძლება ჩამოქვეითდეს 30 მილიონამდე, ინგლისში კი 100 წლის განმავლობაში ჩამოქვეითდეს 4 მილიონამდე. უკვე პოლონეთის უახლოესი თავობას, შეუძლიან იგრძნოს შესუსტება პოლიტიკური მიწოდისა დასავლეთის საზღვარზე და უზარმაზარი ზრდა პოლიტიკური მოწოდისა აღმოსავლეთის მხრიდან.

ხემა აღნიშნულ მოსახრებათა გათვალისწინებით პრომეთეს საკითხი პოლონეთში, რომლის მოწოდებაა რუსეთის დაყოფა მთელ რიგ სახელმწიფოდ, კავკასიის, უკრაინის, თურქესტანის და სხვა მხარეთა,—ხდება ძალზე აქტუალურ საკითხად და ერთადერთ საშუალებად, რომელიც შეაკავებს პოლონეთისთვის არა ხელსაყრელ რუსეთის მოწოდის განვითარებას.

სრულიად გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ პრომეთეს პრობლემის გადაწყვეტაზე ან მისი მუდმივ აქტუალობაზე, რომელიც შეასუსტებს რუსეთს, დიდად დამოკიდებულია პოლონეთის მომავალი, როგორც ძლიერი სახელმწიფოსი, რომელიც შესძლებს ბრძოლას თავის სუვერენობისთვის. აქ არ შეევენებით პრომეთეს საკითხს, როგორც ანტი-

კომუნისტური მოქმედების ან როგორც ტაქტიკურ თავდაცვის საშუალებას. პრომეთეს საკითხის ეს მხარე ადვილად გასაგებია და ადვილად დასაანხიც.

პრომეთეს მიზნების და პოლონეთის მიზნების შედუღების ტენდენცია მაგრად სჩქეფს და ალბად საერთაშორისო დამოკიდებულებათა ისტორიას ბევრი მაგალითი არ მოეპოვება ინტერესთა ასეთი შეერთებისა, იმ ერთა შორის, რომელთაგან ერთნი არიან დაპყრობილი და უსახელმწიფონი, მეორეს მხრივ კი არის ერთი სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელი. ამ უკანასკნელ გარემოებას, იმას, რომ ერთი მხრივ არის ერთი სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელი და მეორეს მხრივ თავისუფლებას მოკლებული პრომეთეს ერთი, შეაქვს ერთგვარი სხვადასხვაობა ტაქტიკურ და კონიუნქტურალურ საკითხებში.

პრომეთეისმი და დღევანდელი მომენტი.

დღევანდელი მომენტი, პრომეთეს საკითხთან დაკავშირებით ხასიათდება შემდეგი მოვლენებით:

- 1) ჩინეთ-(საბჭოების)-იაპონიის კონფლიქტი, რომელიც სწარმოებს აღმოსავლეთ რუსეთის გვერდით, უზარმაზარ ჩრდილო და შუა ჩინეთის მიწებზე, რომელიც ფართოვდება სხვა პუნქტებზედაც, სადაც იაპონია-საბჭოების ინტერესები ერთმანეთს ეხეთქებიან.
- 2) საბჭოთა რუსეთში ეროვნული, სოციალური და იდეოლოგიური წინააღმდეგობათა გაძლიერება, რომელიც ხშირად კარიკატურულ ფორმებს ღებულობს.
- 3) გერმანიასა და საბჭოებს შორის თანამშრომლობის უქონლობა, რაიც ხშირად ხელს უწყობს ერთი ერთი მეორის წინამძღვე დაპირდაპირებას.
- 4) არსებობა ანტიკომინტერნული პაქტისა იტალიასა, გერმანიასა და იაპონიის შორის.
- 5) ბუნებრივი და აუცილებელი კრიზისი თურქეთ-რუსეთის დამოკიდებულების.
- 6) ოთხი მუსულმანური სახელმწიფოს შეთანხმება, რომელიც გარდა ერაყისა, ყველა რუსეთის მოსახლერენი არიან (ავღანისტანი, ირანი, თურქეთი).
- 7) პოლიტიკური დაახლოვება ბალტიის და შავი ზღვის სახელმწიფოთა შორის შევეციიდან რუმინამდე.
- 8) რუსეთის ჩაბმა ისპანიის ბრძოლებში და მასთანადე სახელმწიფოთა მეტოქეობა სხელთა შუა ზღვის ბასეინში.

ამ მოვლენათა მიხედვით, პრომეთეს საკითხი დღევანდელ მომენტში ღებულობს აქტუალობის და, შესაძლოა, რეალიზაციის განსაკუთრებულ ხასიათს.

მიუხედავად ამისა, თვალი ან უნდა დავხუკოთ იმ დაბრკოლებათა წინაშე, რომლნიც არსებობს პრომეთეს საკითხის განვითარების გზაზე. ის საფრთხე, რომელიც მოვლის ამერიკას ჩინეთში და ინგლისის შორეულ აღმოსავლეთში, აბრკოლებს იაპონიის ანტირუსულ მოქმედების გაფართოვებას და ხელს უწყობს საბჭოთა პოზიციის გამაგრებას. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ზოგი სახელმ-



წიფა, რომელიც საბჭოებს გარს არტყია, იმყოფებინა საბჭოების მოკავშირეთა გავლენის ქვეშ და არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ ანტიკომუნისტურ სახელმწიფოთა შორის მოქმედების საერთო პლანი როდი არსებობს. გერმანელები გულუბრყვილოდ ასხვავებენ თეთრ რუსეთს წითელი რუსეთისაგან, ფიქრობენ, რომ უნდა ებრძოლონ უწინარეს ყოვლისა ებრაელობას და კომუნისტს, და სტოვებენ ღია კარებს მომავალ თეთრ რუსეთთან თანამშრომლობის შესახებლობისთვის. ამ მხრივ პოლონეთის და იაპონიის ინტერესები უფრო ეგუებიან ერთმანეთს, ვინემ იაპონია-გერმანიის ინტერესები, მიუხედავად იმისა, რომ პოლონელები არ არიან ჩამოშლინი ანტიკომუნისტურის პაქტში. ცუდ მხარედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იაპონელები არ იცნობენ პრომეთეს საკითხს და იაპონიის პოლიტიკურ წრეებში არ აფასებენ პრომეთეს პლანებს, რუსეთის შესახებ ის ყალბი შეხედულება აქვთ, თითქოს რუსეთი წარმოადგენდეს ერთ მთლიან და განუყოფელ სახელმწიფოს. დამახასიათებელია ამ მხრივ პრომეთეს მოძრაობის ჩამოქვეითება ხარბინში, მას შემდეგ, რაც მანჯუკო ჩამოყალიბდა და სხვა მსგავს მოვლენებსაც ჰქონდა ადგილი. ეს მიეწერება რუსეთის ემიგრაციის გამარჯვებას, რომელიც ამათუ იმ სახით წითელი რუსეთთან თანამშრომლობს, შემდეგი პრინციპის თანახმად: ოპოზიცია საბჭოების რეჟიმს, სამსახური მუქარას ქვეშ მყოფ სამშობლს.

გარდა ამისა პრომეთესთვის არა სასარგებლო მოვლენად უნდა ჩაითვალოს მდგომარეობა ირანში და თურქეთში. ორივე ეს სახელმწიფო იყურება ჩრდილოეთისკენ, რომ თავიანთი ტერიტორიები გააფართოვონ იმ შემთხვევაში, როცა პრომეთეს იდეა განხორციელდება, ამას კი რუსეთი საუსტოვოდ იყენებს და აძლიერებს თავის გავლენას როგორც კავკასიაში, ისე თურქესტანში. ავღანისტანის დამოკიდებულება პრომეთეს საკითხისადმი მეტად უფერულია. მუსულმანურ ოხხთა ანტანტის დაინტერესება მუსულმანურ საკითხით რუსეთში თურუსეთს გარეშე მეტად პლატონურია. რუმინიაშიც სუსტად აქცევენ ყურადღებას პრომეთეს პრობლემას, თუმცა ეს სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს, რომ შავი ზღვის აუზში ძალთა განწყობილება მისი სასარგებლოდ აეწყოს და ამით მოხდეს შესუსტება ან მთლიანი ლიკვიდაცია რუსეთის გავლენისა, რომელიც ცდილობს ბესარაბიის დაბრუნებას. მეფე კარლს მე-12 სამშობლო—შვეიციაში, პრომეთეს საკითხით, ოდნავადაც არ არიან დაინტერესებულნი, იგივე ითქმის ბალტიის სახელმწიფოებზე, და ეს შესაძლოა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი მეტად ახალგაზდა და ფინიკურად სუსტი სახელმწიფოებია, რომ შეჰქმნან პრომეთეს პლანი.

აწინდელ ვითარების დაცვით და პაკიფიზმით აღსავსეა ვერსალის ტრაქტატის ხელმომწერთა ბლოკი, რომელიც არ იზიარებს რუსეთის დაყოფის იდეას და ეს რასაკვირველია ხელს უშლის ბევრი სახელმწიფოს აქტივობას, რომელიც დაინტერესებული არიან პრომეთეზმით. მაგრამ რადგან დიდ ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა როლი თანდა-

თან კლებულობს და იზრდება როლი მათი მოწინააღმდეგეთა, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ პრომეთეზმი გაიმარჯვებს და იმ ერთა განთავისუფლების რეალიზაცია, რომელიც საბჭოების მიერ დაპყრობილი არიან, ვფიქრობ, მოახლოებულია. პრომეთეზმი ერთი მთავარი იდეათაგანია, რომელიც გზას იკაფავს ძველ ქვეყანაში. თავის ორბიტში ითრევს იტალიას და გერმანიის და უწინარეს ყოვლისა, იმ რუსეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს, რომელიც ს. ს. რ. კავშირის მეზობელი არიან, პოლონეთის, იაპონიის, თურქეთის და რუმინიის მეთაურობით.

მათარგმნელი ი. ხალაყაია.

**ბათუმ-მაჭაბის მხარეები**

(ფურცლები რვეულიდან)  
(დასასრული)

ის საგანი, რომელსაც კონფერენციაზე უნდა შეხებოდა ჩემი ექსპერტობა, იყო ქ. ბათუმის საკითხი. არა ქართველთა წრეებში, ჯერ მაშინ, გაისმოდა ხმები, რომ პატარა საქართველოს პროვინციების გასწვრივ, ისედაც სავაზოდ გრძელი ზღვის ნაპირია მოცემული, ისეთი პოსტებით, როგორიც ფოთი და სოხუმი და ამიტომ სულ ზედმეტია ბათუმის დაბრუნებისათვის თურქებთან შეჯახება და შეკამათება... თქმა არ უნდა, რომ ამნაირად კითხვის დაყენება ჩვენდამი უფრო არამეგობრულის გრძობებით იყო ნაკარნახევი, ვიდრე სამართლიანობით; ისტორიული ფაქტების განგებ მიჩქმალვით და ქართველების საარსებო ინტერესების არარად ჩაგდებით. ამის გამო აუცილებელი გახდა ქართველების მხრივ თავის გამოდება, რომ სწორი და მართებული ხაზი დაევეცვა. მართლაც ვინც საქმის ვითარება იცის, იგი უთუოდ დაადასტურებს, რომ საქართველოს ერთად ერთი და საიმედო პორტი ბათუმია და მხოლოდ ბათუმი. ამ საყოველთაოდ ცნობილ დებულების დეტალურად განხილვა შორს წავიყვანდა და უადგილობის გამო იძულებულნი ვართ, სიტყვა მოკლედ მოვსურათ. შავი ზღვის საქართველოს ნაპირზედ რუსეთის მიერ თავშივე იყო დადგენილი, რომ ბათუმი უნდა გადაქცეულიყო სპეციალურ სამხედრო პორტად, ხოლო ფოთი კი სავაჭროდ. ყველა ზომები იყო მიღებული, რომ შეეფერებინათ ბათუმში სავაჭრო გემების მიმოსვლა. ხელს უწყობდენ ფოთის პორტის გაფართოებას, სადაც ჩვენმა დაულალავმა მოღვაწემ ნ. ნიკოლაძემ მთელი თვისი დიდი ენერჯია გაშალა პორტის ისეთი, სისრულით მოსაწყობად, როგორც ეს ყველგან მიღებული არის და აი მიუხედავად ამისა ფოთი ვერ გადაიქცა დიდ მასშტაბის სავაჭრო პორტად. ამრიგად, თანდათან და შეუფერხებლად ბათუმი გადაიქცა მთავარ სავაჭრო პოსტად, მიუხედავად სამხედრო უწყების წინააღმდეგობისა. სწორედ ბათუმი გახდა ცენტრად იმ დიდი ექსპორტ-იმპორტისა, რომელიც ასულდგმულებდა კავკასიას და სატრანზიტო ქვეყნების ალებ-მიცემობას... ყველა ეს მოხდა სრულიად ბუ-

ნებრევიდ თავის თავად და არც შეიძლება და სხვა ფორმე მომხდარყო, რადგან თანამედროვე საზღვაო აღებ მიცემობის მიხედვით მხოლოდ ბათუმია ისეთი პორტი, რომელიც ყოველ დარში, ყოველ ტევადობის გემებისათვის ადვილად მისადგომია. ბათუმი ბუნებრივად ისეა მოყვანილი, რომ სწორედ უამინდობაში ყოველი მხრიდან გემები გაკვივრების დროს მას შეაფარებენ ხოლმე თავსა. მომხდარა, რომ ამისთანა დარში გემები ფოთიდან გამოქცეულა, რომ ბათუმს ამოფარებულიყო. საზღვაო ვაჭრობისათვის ეს გარემოებანი გადამწყვეტ როლს თამაშობენ და ამიტომ წინადაც უნდა ვიცოდეთ, რომ კავკასიის ზღვის ნაპირებზედ საერთაშორისო აღებ მიცემობა მხოლოდ და მხოლოდ ბათუმში გაიჩინოს თავის მკვიდრ ბინას. ვისაც ბათუმი ეკუთვნის, მხოლოდ ისაა უზრუნველყოფილი, რომ მისი აღებ მიცემობა და საზოგადოდ ეკონომიკა შეუფერხებლად განვიტარებდეს.

დიად, მთელი ეს მხარე საქართველოსი ყოფილა ისტორიულად, საქართველოა აწმყომიც. ცხადია ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენმა სახელმწიფომ ისე უნდა ჩაკეტოს ბათუმის კარები, რომ სხვებს და, მეტადრე, ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებს, ან სხვა სახელმწიფოთ არა ახეიროს რა: ბათუმის პორტს უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა მათვისაც. საქართველო თავის სუვერენულ უფლებებს, განუყოფელს და სხვებზედ განუცემელს, ისე მოიხმარს, რომ მეზობლური ურთიერთობანი და სლოდარობა უფრო მეტად განმტკიცდეს. ჩვენი მომავალ კონფედერაციაში მონაწილეობს, თავმდები იქნება იმისი, რომ საქართველო გულუხვ მასპინძლობას გაუწევს ყველა მეზობლებს. ამითი იმისი თქმა არ გვინდა, როგორც, შეიძლება, ზოგიერთებს წარმოუდგენიათ. ვითომ რაკი კონფედერაცია გაჩნდება, ვისმე უფლება ენიჭებოდეს თავისი ხელები აფათუროს საქართველოს ტერიტორიაზედ და მის საქმეებში... კონფედერაციის არსი და პრინციპი ამას არ მოითხოვს და არც სადმე მომხდარა მისი ასე უწყესოდ გამოყენება. საქმაო არის გავიხსენოთ შვეიცარიის კონფედერაცია, სადაც კანტონების სუვერენული ჩამოყალიბება ისეა განმტკიცებული, რომ მათთვის არც არსებობს სხვა რამ «პატრიოტობა» გარეშე სამშობლო-კანტონისა. თვით შვეიცარიელები ხაზს უსვამენ ამ გარემოებას და არც სცნობენ განყენებულ «შვეიცარიის პატრიოტობას». ეს უკანასკნელი ტერმინი, თქვენი, უცხოელების მიერ არის გამოგონილი, გვიხსნიან შვეიცარიის კონფედერაციის წევრები-მოქალაქენი... ყოველ შემთხვევაში არ ყოფილა მაგალითი, რომ საქონფედერაციოდ შეთანხმებულ ცალკე რესპუბლიკებს ეს კავშირი თვისი სუვერენული უფლებების უარყოფით დაეწყოთ. ჩვენშიაც ასე იქნება. კავკასიის რესპუბლიკები ერთმანერთს არაფერს შევეცილებით... მართალია, ქართული ბათუმი დიდ პრივილეგიებს უჩენს საქართველოს, იგი ჩვენი ქვეყნის დიდ-დიდი განძი და სიმდიდრეა, და მერე რაა?! განა სხვა მეზობელ რესპუბლიკებს არ გააჩნიათ ისეთი სიმდიდრენი, რომლის

ბადალი სხვებს არა გვაქვს? ნუ თუ ეს გარემოება საქმარისი იქნებოდა, რომ ვისმე გამოეცხადებინა პრეტენზიები და იქ წილი მოეთხოვა? მომავალ კონფედერაციას, მისი ინსტიტუტებით, ჩვენ ვაარსებთ არა იმიტომ, რომ მასში ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენობა გავთქვიფოთ, არამედ იმიტომ, რომ გვსურს, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი მდგომარეობა უკედ დავიცვათ. ჩვენი «კავკასიელობა» და «კავკასიის კონფედერაციის წევრობა» სწორედ ამით განდება საამაყო და სანეტარო და იმისი დღევანდელ მხოლოდ მხოლოდ ამითი დამყარდება. ამისი მსგავსი მოსაზრებანი თავის სრულს ძალას პოულობენ მეტადრე მაშინ, როდესაც მეზობელ არა კავკასიურ სახელმწიფოებზედ ჩამოგვიდგებენ ლაპარაკს. მეზობელ უცხო ქვეყნებთან კეთილმეზობლური განწყობილება ყველას გვენატრება. არც ვინ აპირებს ვისიმე წინააღმდეგ ომის ატეხას იმ კითხვების გამო, რომელთ ამოწურვა, უეჭველად, მეგობრულ და თავნაზიან მოლაპარაკებით მოხდება. არ არის საჭირო, ეხლავე, ნაძალადევად, «აუტკივარი თავის ატკივება»: იგი მდგომარეობას თუ არ გართულებს, არას უშველის. არც ის არის სასარგებლო, რომ ამ სფეროში, გავაზვიადოთ ის, რაც სხვის ნათქვამში არ მოგვეწონება. ამ სათუთო კითხვების წარმოშობის დროს თვით საქმიანი კრიტიკაც კი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს... ჯერ ჯერობით ამნაირი ზოგადი განცხადებით უნდა დაგვამაყოფოდეთ ყველანი, ვინაიდან ჩვენს ყოფაში ყოფთ სხვებზედ უფრო მეტად უნდა გვახსოვდეს ქართული სიბრძნე: «ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების». დადგება დრო და ის გზებიც გამოჩნდება, რომელნიც საკეთილო მიზნისაკენ უმტკივნეულად და დაუზიანებლად მიგვიყვანენ. მაშინ, და სწორედ მაშინ, გამოჩნდებიან ის არგუმენტებიც, რომელნიც ჩვენი უფლებების დაცვას გაგვიადვილებენ...

დღეს დღეობით საზრუნავი ისიცა გვაქვს, რომ პირშავად არ დავრჩეთ ჩვენი ძმა ქართველ-მუსულმანების წინაშე. ისინი, 1877-78 წლ. ომის დროს, ხომ უშიშრად გვენდენ, ერთ დროს მოწყვეტილ ძმებს სასოებით ხელი გამოგვიწოდეს, შემოგვიერთდენ და ჩვენთან ერთად, განუყრელად, შედუღდენ ერთიანი საქართველოს შვილობაში და მოქალაქეობაში. აქ დიდი სიფრთხილე გვენსაპირილება სიტყვით, თუ საქმით გამოსვლების დროს... ვიკმართ ის შეცდომანი, რაც უკვე ჩავიდინეთ, როდესაც სამუსულმანო საქართველოს ისე ვერ მოვუარეთ, როგორც საქართველო იყო... ქართველ ერს, რუსების ძალეობის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციით, მეტად გაუართულდა თვისი სახელმწიფოებრივი საქმეების მოგვარება: თითქმის ყველაფერი თავიდან დასაწყისი გაგვიხდა! უნდა ვიცოდეთ, რომ განცალკევებულის ძალებით ჩვენ ვერ ავწევთ ამ უზარმაზარ ტვირთს. ყველა ქართველი ძალების გაერთიანებით შევძლებთ მხოლოდ, მტერსაც მაგრად დაეუდგეთ და სამეგობროდ მოსულესაც მეგობრულად დაეუხვდეთ.

ჩვენს ემიგრაციაში არ არის დაჯგუფება, არ არის ადამიანი, რომელსაც ყველა ეს სავესებით არ

ესმოდეს. ბევრმა, ერთსულოვნობის დასადგენად, პრაქტიკული ნაბიჯებიც გადასდგა, მაგრამ ამაოდ! რატომ? ნუ თუ იმიტომ, რომ დაგვაგვიწყდა ის, რაც ამ ყამად ყველაზე უფროა საყურადღებო, და მხოლოდ პირადობას, ან პარტიულ ეგოიზმს ავყოლივართ? საზოგადოების, სახელმწიფოს, და ერის დაქცევა-დაქსახვა, ხომ ყოველთვის ამით იწყება!.. ნუ თუ ესა სურს ვისმე ჩვენს შორის?!

ერთობისაკენ გვიწვევდენ ყოველთვის დიდნი ქართველნი, ამას გაიძახოდა მუდამ ყამს, მათი ბუკი და ნალარა. დროა შევისმინოთ ეს მათი გოდება. ეს-ლა მინც აღუსრულოთ ანდერძად დატოვებული დარიგებანი... ახრთა სხვადასხვაობას და პარტიების გვერდით, ვიყვნეთ ერთსულოვანნიც, სამშობლოს სამსახურისათვის სათანადო ორგანიზაციით გაერთიანებულნი...

აი ჩვენი უახლოვესი ამოცანა და მის აღსნას ნუ-ღარ ვავგვიანებთ. მანვდაა დამოკიდებული, რამდენად ანგარიშს ვავგიწვევენ, როგორც მტერნი, ისე მეგობრებიც. ნუ ვავგვიანებთ: ვადები მოახლოვებულაი!..

გ. ყურული.

ისტორია მემორება

დღითი დღე ახლოვდება ის საშინელი განსაცდელი, რომელსაც კაცობრიობა თითქოს გაურბის, მაგრამ რომლისკენ სტიქიურად მიისწრაფვის. ახალი დიდი ომი ჯერ არ დაწყებულა, ხოლო ზარბაზნების ქუხილი შორიდან და აქა-იქ მოისმის, და ეს საერთო აღრევის შესავალია. ყველგან მზადების ციებ-ცხელებაა—გაცხარებული შეიარება, მოკავშირეთა ძებნა, დასაყრდნობ ბაზების მოსიხჯვა, დასაკავებელ ადგილების დაზვერვა, დიპლომატიური ქსელების გაბმა. და ამ მზადებაში ქართველებს არ შეგვიძლია, არ დავინახოთ, რომ ჩვენი პატარა სამშობლოც ინტერესთა ანგარიშშია ჩადებული და დაინტერესებული სახელმწიფონი უკვე თამაშობენ ჩვენს ხარჯზე.

ეს გარემოება გვაავალებს, ერთხელ კიდევ ღრმად ჩაუვუკირდეთ ჩვენს ნამდვილს მდგომარეობას.

საქართველო ლამაზი და საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა და ეს მისი «უბედურებაა», რადგან ამიტომ სხვების საწადელი ხდება. ხოლო ეს არაა მთავარი. მეტი მნიშვნელობა იმასა აქვს, რომ იგი მდებარეობს ისეთ გზაზე, სადაც წარსულშიაც ხვდებოდენ და დღესაც ხვდებიან ერთმანეთს დიდ სახელმწიფოთა და მრავალრიცხოვან ერთა მისწრაფებანი. ვამბობთ საქართველოს, მაგრამ აქ შეგვიძლია, ვიგულისხმობთ მთელი კავკასია, რადგან—ნუ ეწყინებათ ეს ჩვენს კეთილს მეზობლებს—კავკასიაში პირველი როლი ობიექტიურად საქართველოს ეკუთვნის და კავკასიის ბედი იგივე საქართველოს ბედაა. კავკასია, თუნდაც ამიერ-კავკასია ერთს მკიდროდ შეკავშირებულს ერთეულს რომ წარმოადგენდეს, ის საკმაო წონის ძალა იქნებოდა და აბუჩად ვერავინ აივდებდა; შესძლებდა, გამკლავებოდა გარეშე სახელმ-

წიფოების აგრესიობას, სავაჭრო-სათამაშო საგანიც არ შეიქნებოდა. ხოლო თუ ეს ასე არაა, მაშინ კავკასია (გინდათ, საქართველო) ძალაუნებურად ხდება მოსაზღვრე დიდი სახელმწიფოების ინტერესთა დატაკების სარბიელი. დიდი სახელმწიფო, რომელიც იბატონებს საქართველოში თუ კავკასიაში, ადრე თუ გვიან გზას გაიკადავს დასავლეთით ეგვიპტემდე და აღმოსავლეთით ინდოეთამდე. ამიტომაცაა, რომ კავკასიას უთვალთვალდებენ არა მოსაზღვრე სახელმწიფონიც, რომელიც მას ბაზად სთვლიან თავიანთ ექსპანსიის გასაფართოვებლად, არა მართლო ომის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც.

ამ უკანასკნელ გარემოებას თავი ვავანებოთ ამ წერილში. უპირველესად კავკასიაში ერთმეორის წინამდევ დგას დაპირისპირება რუსეთის და თურქეთის (ირანისაც) ინტერესების. თუ რუსეთი არ დაიშალა და დარჩა ისევ ძლიერი სახელმწიფო, არასოდეს აიღებს ხელს გაწვევაზე სამხრეთისკენ ძველი გზით. ამის არგათვალისწინება თურქეთს არ შეუძლია, ამიტომ უთუოდ თადარიგი უნდა ჰქონდეს, თუ როგორ უკეთესად უზრუნველყოს თავისი დამოუკიდებლობა. ამ თადარიგის დროს, თურქეთმა შეიძლება, იფიქროს, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელია, კავკასიონის ქედს მიეზღინოს და იქ გაუშკლავდეს რუსეთს. ამის შესრულება, ცხადია, ადვილი არაა და მოითხოვს სათანადო საერთაშორისო სიტუაციასაც.

მაგრამ ასეა თუ ისე, თურქეთი ერთ წუთსაც ვერ დაივიწყებს საფრთხეს, რუსეთისაგან რომ მოელის. კავკასია რომ ერთი მთლიანი სხეული იყოს, როგორც ზევით ვსთქვით, მაშინ თურქეთი სხვანაირად შეხედავდა პრობლემას. კავკასიის სიმტკიცით და ძალით დაიმედებული მას მოკავშირედ გაიხდიდა და შეეცდებოდა მის გამაგრებას და ამით რუსეთის ექსპანსიის წინ ჯებირის აგებას. კავკასიის ერები შეკავშირებას და შეერთებას ცდილობენ, თუმცა არა თანაბარი მონდომებით, და თუ კავკასიის ერთობა ვერ გამტკიცებულა, ამის ერთი მიზეზთაგანი არის თვით თურქეთის მცდარი ნაბიჯები წარსულში. თურქეთს დღევანდელ პირობებშიაც შეეძლო დიდი დადებითი როლი ეთამაშა კავკასიელთა ერთობის განმტკიცებაში. ქართველები დიდი კმაყოფილებით შევეგებებოდით თურქეთის ყოველს საამისო მოქმედებას, რადგან ფრთხილ ვაფასებთ თურქეთ-კავკასიის მეგობრობას. მაგრამ სამწუხაროდ ამის ნიშნები არა სჩანს...

ერთ შემთხვევაშია აუცილებელი თურქეთის პოლიტიკის შეცვლა: თუ დაინახავს, რომ მომავალი საერთაშორისო გართულება არ იქნება მისთვის ხელსაყრელი და სხვა სახელმწიფონი, თუ სახელმწიფო რომელიმე წინააღმდეგება თურქეთის გაბატონებას კავკასიაში და იქაურ ერების დაპყრობას, მაშინ თურქეთი ძალაუნებურად უნდა მიემხროს კავკასიის დამოუკიდებლობას, ზურგი გაუმაგროს მას, რომ ამით თავიდან აიცილინოს სხვის გარეშე დაშკვიდრება კავკასიაში და ასე თვით თურქეთის საფრთხეში ჩავარდნა...

კავკასიის ახნაირ ვითარებას და მოსალოდნელ

პერსპექტივებს კარგად ითვისებენ რუსეთი და ამის მიხედვით აწარმოებენ თავის კავკასიურ პოლიტიკას. ამის გამომყდენებელი იყო, სხვათა შორის, ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაშლა—რუსეთს უნდოდა კავკასიელების ერთობის შესაძლებლობის გაძნელება და ცალკე თვითოეულ ერის დასუსტება. რუსეთის პოლიტიკა კავკასიის მიმართ ახალი არაა, ისაა განმეორება იმისა, რაც კარგად განვიცადეთ ქართველებმა ამ ასორმოცდათიწლის წინად. მაშინ რუსეთმა საქართველოსთან კავშირი შეკრა და დახმარებაც უნდა აღმოეჩინა. მაგრამ ნამდვილად მზაკვრულად მოიქცა, საქართველოს უფრო გადაჰკიდა მეზობელი მუსულმანური სახელმწიფოები, რომ მათ საბოლოოდ დაესუსტებიათ საქართველო და მერმე მსულიყო თვითონ და სავსებით დაპატრონებოდა.

დღესაც მსგავსი ამბავია: რუსეთი კარგად ანგარიშობს საქართველოს და საერთოდ კავკასიის მძიმე პირობებს—კავკასია დღეს რუსეთის ხელშია, მაგრამ არის სხვა მოსალოდნელი მტერი, სამხრეთიდან—თურქეთი. რუსეთი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეს გარემოება რაც შეიძლება მწვავედ იგრძნონ კავკასიელებმა და იმასაც არ დაერიდება მარჯვე დროს, რომ თურქები კავკასიელების წინამდევ წააქეზოს; ეგებ დროებით ხელიც მიუშვას კავკასიას, რომ ურჩმა ერებმა გამოსცადონ სხვა ბატონის მართახნი, რომ შემდეგ თვითონ მეტის სიმძაფრით დააწვეს თავის ქუსლით კავკასიას ერთობილად და საქართველოს განსაკუთრებით და ერთიან წაშალოს ადგილობრივ მკვიდრთა ეროვნული სახეობა.

ასეთია გეგმა რუსეთის, ასე ფიქრობს და ცდილობს დიღემა—კიდევ რომ არ იდგეს მთლად ასე თავისთავად—ამ სახით დაუყენოს კავკასიელებს, რომელნიც ვერავის ბატონობას ვერ ურიგდებიან და უნდათ სრული სუვერენობა მოიპოვონ თავის მიწა-წყალზე; უჩემოდ თქვენ ვერ იარსებებთ, მე არ ვიქნები, სხვა მოვა—თურქეთი და შეიძლება ირანიც. დაურიდებლად გვემუქრება: ან მე ან სხვა, მეტი გამოსავალი არა გაქვთ...

ყოველივე წემონათქვამი გარკვევით გვეუბნება, თუ რა რთულს და დამძიმებულს სახეს ღებულობს ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. საუკუნე-ნახევრის შემდეგ საქართველო თითქოს ხელახლა დგას იმ პრობლემის წინაშე, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ვერ გადააჭრეს, თუმცა არ დაუკალიათ არც ცეც და უნარი, არც მსხვერპლი. აქა ჩვენი ტრადიცია, დღევანდელი ქართველობის. შევძლებთ თუ არა მიუხედავად დიდ დაბრკოლებათა გავიტანოთ ჩვენი და მტკიცედ უზრუნველვჰყოთ ქართველი ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი არსებობა, თუ კვლავ დავაჩოქებს მტერი, რა მხრიდანაც არ უნდა იყოს იგი?

საკითხავი აი რა არის.  
საჭიროა დიდი სიფხიზლე, ღრმა დაკვირვება, მთელი ძალღონის დაჰქონვა, და უპირველესად კი ეროვნული ერთობა.

ამისთვის მოვილაპარაკეთ შემდეგ წერილში.  
ს. ფირცხალავა.

**ჩუმი მოღვაწის იოსებ ღაღინის ხსოვნას**

(ძველებული სახით)

უკვე ერთი წელიწადი გავიდა, რაც უღმრთებელმა სიკვდილმა გამოგვაცალა უებრო ადამიანი და სამშობლოსათვის მოჭირახულე იოსებ ღაღინა. გასული წლის 30 მარტს გადაიცვალა და 1 აპრილს პარიზში მიწას მიაბარეს ეს ყველას მიერ პატივცემული და მეტად სიმპატიური მოღვაწე. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, მისდამი მიძღვნილ სამგლოვიარო წერილებში, ყველამ სინამდვილით და სისწორით დაახასიათა მისი ადამიანობა, ხასიათი და საზოგადო მოღვაწეობა. მე დამრჩენია მხოლოდ მოგონების სახით დაუშუალო ცოტა რამ, ვინაიდან ის ჩემი ისყრმის ამხანავი და მეგობარი იყო.

მე და იოსები ერთად მოვხდით ქუთაისის პროგიმნაზიის მესამე კლასში. იმ დღიდან ერთად ვსწავლულობდით როგორც პროგიმნაზიაში, ისე გიმნაზიაში და ბოლოს პეტერბურგის უნივერსიტეტში. ქუთაისის პროგიმნაზიას ჩვენს დროს კარგი სახელი ჰქონდა. მისი ინსპექტორი იუდინი ცნობილი პედაგოგი იყო და პროგიმნაზია კარგად ჰქონდა დაყენებული როგორც სწავლის, ისე დისციპლინის მხრით. როცა მე პროგიმნაზიის მეორე კლასში შევედი, იქ 32 მოწაფე ვიყავით. ამათში პროგიმნაზიის კურსი მხოლოდ ექვსმა გავათავეთ. იუდინი სასტიკი იყო სწავლის მოთხოვნაში და პედანტი კანონის ყოველ წვრილმანის აღსრულებაში, მაგრამ მასთან სამართლიანი და კეთილი გულის პატრონი. იოსები ღაღინი იჯახის შვილი იყო, მე კიდევ ბევრად უფრო ღაღინი. იუდინი შევიდა ჩვენს მდგომარეობაში, გაგვანთავისუფლა სწავლის ფულისაგან და ამას გარდა რვა-რვა მანეთი სტიპენდია მოგვიხერხა თვეში, და ეს სტიპენდია გიმნაზიის დამთავრებამდისაც გვეძლეოდა.

პროგიმნაზიაში, გიმნაზიაში და უნივერსიტეტში იოსებ ღაღინა ყველასათვის საყვარელი ამხანავი იყო, მშვიდი, წყნარი, თავდაბალი, კაცთ მოყვარე, და მასთან მეტად მორცხვი. მე არ მახსოვს, მას რომელიმე ამხანავთან ცუდი განწყობილება ჰქონდეს, ვინმეს წასჩხუბებოდეს, ან უზრდელად მოპყრობდეს. ნიჭიერი იყო, მაგრამ ბევრითობას სწავლაში მინაცდამინც არ იჩენდა, სწავლულობდა იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო, რომ ხელმეორედ ერთ და იმავე კლასში არ დარჩენილიყო, როგორც ეს მას მესამე კლასში მოუვიდა. შემდეგ გიმნაზიის უფროს კლასებში გამოიჩინა მათემატიკაში დიდი ნიჭი. გიმნაზიაში ჩვენ პატარა პატრიოტული წრე გვქონდა, რომელიც საქართველოს მომავალ კეთილდღეობისთვის და მის სამსახურისათვის ოცნებობდა. ამ წრეში იოსებიც იყო რასაკვირველია. გიმნაზიის გათავების დროს თათბირი გვქონდა, ვის რა დარგი ამოგვეჩრია სწავლის გასაგრძელებლად უნივერსიტეტში. რა უფრო გამომადგებოდა საქართველოს. იოსებ ღაღინამ საინჟინერო ნაწილი აირჩია. ეს მანინდამინც ჩვენ არ მოგვეწონა, ანგარების და გამდიდრების სურვილი შევსწამეთ, გამდიდრებისათვის მიდრეკილება ჩვენთვის იმ დროს საქრახავი იყო,



ერთმად უთხრეს, შენ გამდიდრება დაგისახავს მიწნათო, გამდიდრების არა ვიციო, გვიპასუხა, მე თქვენისთანა უნარი არა მაქვს, სხვა რამეში გამოვდგე, თუ გავმდიდრდები, თქვენთან ერთად საზოგადო საქმეს მოვანმარო. უნდა ვთქვათ, იოსებ დადიანს თავის თავზე არასოდეს არ ქონია დიდი წარმოდგენა, თუმცა ნიჭით და საქმის გავებით არავის ჩამოუჯარდებოდა, თუ არ შეტობდა. პეტერბურგში იოსები ჩვენს პატრიოტულ წრეში იყო ყოველთვის. მას ზოგიერთ «კინაზებსავით» იქ ზნე არ უცვლია, ისევ წყნარი, ისევ მშვიდი, ისევ თავდაბალი და უაღრესად დემოკრატი, ის არავითარ ცუდ მიმართულებას არ გაუტაცებია. პირიქით ეხლა ის ჯეროვან ცოდნის მიღებამ გაიტაცა, ბევრს მუშაობდა, სულ მეცადინებდა და კარგადაც გაათავა ინსტიტუტი, ფინიკურად ის ყოველთვის ჯანსაღი იყო, მასთან ღონიერი და უშიშარი. ერთს ზაფხულს ჩვენ პავლოვსკში ვცხოვრობდით, ორი ოთახი გვეჭირა ერთი «დაჩის» მეზონინში. შემოსავალი დაუხურავი კიბით იყო ეზოდან. პირველ ოთახში ის წობოდა, მეორეში მე. ერთს დამეს შეამჩნია, კიბეზე ვილაც ამოდიოდა, შეატყუა, რომ ქურდია, მაგრამ იმის მაგიერ რომ შეეძახა და გაეჭვია და ამით ხათაბალას მორჩენოდა, მან აცალა შემოსვლა კარიდორში, მერმე ეცა და დაიჭირა, კარგი ჩასკენილი რუსი იყო, მაგრამ იოსებს ვერ დაუხსლტდა ხელიდან, მერე დაგვიწყო ხვეწნა, «ბარინ ბლოშე ნე ბუდუ», გამიშვითო. პოლიციელის ძებნის თავი არა გვექონდა, ცოტა გავაჩერეთ და გავუშვით. მეორეხელ სამი მთვრალი მუყიკი დაგვესხა თავს ვასილიევის კუნძულზე, თქვენ «ყიდები» ხართ, უნდა გცემოთო, ჩვენ ვუთხარიო, არა ქრისტიანები ვართ თქო, აბა, «ბოჟე ცარია ხრანი» იმღერეთო (ხელმწიფის დღეობა იყო), არ მოგვეშვენ, მანამ იოსებმა არ გაიღო ხელი და ძალით არ მირეკბორეკა. ამასობაში პოლიციელიც მოვიდა. პეტერბურგში მე უნივერსიტეტი ოთხი წლის განმავლობაში გავათავე, იოსები უნივერსიტეტის მესამე კურსიდან სამთო ინსტიტუტში შევიდა და ორი-სამი წელი მეტი დარჩა იქ. ინსტიტუტის გათავების შემდეგ ბაქოში მოეწყო ნავთის წარმოებაში. ლამაზი ახალგაზნა, იწყინერი, დიდი თავადის გვარის მატარებელი, კარგი ხასიათის პატრონი, იოსები ამ დროს ჩვენი არისტოკრატიისათვის სასურველი სასიძო იყო. ერთი მეორეს ეცილებოდენ პატრონობაში, როდესაც ტფილისში მდრიოდა, ის მორცხვად თავს აღწევდა, სადაც არ ებრძინებოდა დაახლოვება. ბოლოს მან აირჩია ყოველი მხრით ღირსეული საცოლვე და დაქორწილდა თამარ თარხნიშვილის ასულზე. თამარის დედა ელენე ძმისწული იყო კენინა გავარინისა და გავარინის დიდი ქონება მას დარჩა და სხვათა შორის თვალსაჩინო ნავთის ადგილები. ეს ყველაფერი იოსებს ჩაბარდა საწარმოოდ. მოსალოდნელი იყო იოსები დიდი კაპიტალისტი გახდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, მისი ხასიათის მქონე ვერც განდებოდა კაპიტალისტი. დაქორწინებამდის იოსები ჩემთან ხშირად შემოდრიოდა, როდესაც ტფილისში იყო. მაგრამ შემდეგ ერთხელაც არ შემოსულა. ასე განვლო ათმა, თორმეტმა წელმა, არც მიწერ-

მოწერა გვექონებია ერთმანეთში. ამრიგად ჩვენ დაეშორებით ერთმანეთს და მისი ცხოვრების საუკეთესო ხანა და მოღვაწეობა, შედარებით მატერიალურად კარგს პირობებში, ჩემის თვალ-მხედველობიდან შორს იყო. მე სწორედ გითხრათ, ვფიქრობდი, იოსები შესცვალა ახალმა ცხოვრებამ, სიმდიდრეში შევიდა, არისტოკრატიულ წრეში მოექცა, აქნა თავადური ინსტიქტი, დაავიწყდა საყრდის ზრახვანი და დაპირებანი მეტი, მაგრამ ექვეები ჩემდა სასიამოვნოდ არ გამართლდა, ამაში მე დავრწმუნდი ორჯერ ბაქოში ყოფნის დროს. ჩემთვის ცხადი შეიქნა, ბაქოში, ამ მთელი კავკასიის დიდ საწარმოო ცენტრში, იოსები ღირსეული წარმომადგენელი იყო ქართველობისა. პატივმოყვარეობა მას არასოდეს არა ჰქონია, მაგრამ ყველა საქმეში, ყველა დაწესებულებაში მას მეთაურად ირჩევდენ ერთმანად. ის იყო კალონის თავმჯდომარე, მოთავე ქართული სკოლის და წიგნთსაცავის მოწყობისა, ხელმძღვანელი ყოველი ჩვენი საქმისა. ცნობილი ქართული საღამოების მოწყობა მის ოჯახზე იყო დაკისრებული. მას და მის ოჯახს დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი არა თუ ქართველობაში, უფრო მეტად კიდევ თათრებში, სომხებში, რუსებში და უცხოელებში. ყველა ამათთვის მას ანგარიში უნდა გაეწია, Noblesse oblige-ო, ამბობენ ფრანგები, და ყველაფერი ეს ძვირად უჯდებოდა. უაღრესი დემოკრატი მოექცა არისტოკრატიულ წრეში, ამ წრემ მისი ბუნება ვერ გაარისტოკრატა, მაგრამ ვერც მისმა რბილმა ხასიათმა ეს წრე გაადემოკრატა.

პირველად, როცა მე ბაქოში ვიყავი, იოსებთან განზრახ არ შევსულვარ, თუმცა გიმნაზისტმა ნ. ლაბერიძემ გადმომცა, იოსები სახლიდან ფეხს არ იცვლის, ელის რომ მასთან მიხვალთო. მე ოთხი დღე დავჩრი ბაქოში, რა კი მე მასთან არ შევედი, ის თვითონ მოვიდა ჩემთან წამოსვლის დღეს ვაგზალზე, უნდა გენახათ, როგორი დარცხენილი სახე ჰქონდა, სიტყვა არ დაუძრავს საყვედურის, თუ რად არ შევედი მასთან, მე რასაკვირელია მოვეალურსე, გამოვკითხე ამბავი. «ჯანზე კარგად ვარ, მაგრამ საქმეები ვერ მაქვს კარგად, ვალები მაწუნებსო», და მომიყვა გულწრფელად დაწვრილებით მიზნებს. შემდეგ მიაბმა იქაური ქართული საქმეების მდგომარეობა. ბოლოს მთხოვა, მასთან ჩამომხტარეყავი, როცა მეორეხელ ვიქნებოდი ბაქოში. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემს წინ ისევ ის თავდაბალი, მოცრცვი ამხანაგი იოსები იყო, როგორც სტუდენტობის დროს. ის სრულიად არ გამოცვლილა. მეც დავპირდი. ნახვას, როცა ვიქნებოდი ბაქოში. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, საქმემ მოითხოვა და მე ბაქოში გავემგზავრე. ეს იყო მაშინ, როცა დ. ერმაკოვის ფოტოგრაფიული პლასტინკების კოლექციის სყიდვა განვიზრახე «საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის». კოლექციის სყიდვას გრაფინია უგაროვისა აპირებდა. ტფილისიდან ამ კოლექციის წაღება ჩვენთვის დიდი ზარალი იქნებოდა. ამიტომ წინდაწინ მოურიგდი ერმაკოვის მემკვიდრე ქალს ფასში, სულ ორმოცდაათი ათასი მანეთი უნდა მიმეცა. წერაკით-

ხვის საზოგადოებას ჰქონდა სხვადასხვა თანხები და ამ საზოგადოების გამგეობისაგან დასტური მივიღე თანხის სესხებისა, თუ მას გარანტია ექნებოდა დაბრუნებისა. ჩემი გეგმა იყო, თანხა განაღდებოდა ბაქოს ქართველთა მრეწველებს, რომელნიც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებებს უხვად ეწეოდნენ ხოლმე. მე პირდაპირ იოსებთან მივედი, თუმცა მასთან არ დავბინავებულვარ. გავაცანი ჩემი გეგმა და კატეგორიულად განუცხადე, როგორც არ იყოს და რა საშვალებითაც არ იყოს, ეს თანხა უნდა მოგვიხერხოთ მეთქი, იოსებმა მითხრა, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე ფული ესლა ხელში არა მაქვს და როგორ მოვიქცეო. მე ასეთი წინადადება მივეცი, შენ მხოლოდ განაცხადე, რომ შენ ამ საქმისთვის სდებ ათათას მანეთს, დანარჩენს იმედია სხვები განაწილებენ, ფული ან ბანკიდან ისესხებთ, ან წერა-კითხვის საზოგადოებისაგან, და ვალს მერე გადინდით მეთქი. ეს აზრი მოეწონა, მოიწვია ბაქოს ქართული კალონიის კრება, თავმჯდომარე ის იყო. მე მოხსენება გავაკეთე, აუხსენი დაწვრილებით მნიშვნელობა კოლექციის შექმნისა. ყურადღებით მომისმინეს. პრინციპიალურად ხელის გაწყობაზე უარი არავის არ უთქვამს, ხოლო ზოგიერთებს თანხა ცოტა არ იყოს ედიდა. ბოლოს ერთხმად მიიღეს აზრი, რომ წერა-კითხვის საზოგადოებისაგან აგველო თანხა მათის გარანტიით. აქვე დაასკვნეს და განაცხადეს, ვინ რა წილის შემოტანას კისრულობდა. მე რასაკვირვლია დიდად კმაყოფილი დავბრუნდი უკან. მაგრამ ტფილისში ჩემს ჩასვლამდის მდგომარეობა შეცვლილიყო. ეს ამბავი შეეცყო კავკასიის მუზეუმის დირექტორს, რომელსაც ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თვალში ეჩხირებოდა, როგორც ენერგიული კონკურენტი, წასულიყო ნამესტნიკთან, გამოეთხოვა ნებართვა ერმაკოვის კოლექციის შექმნისა, ხუთიათასი მანეთი მოემატებოდა, შეეკრათ პირობა და მთელი კოლექცია დაებეჭდათ, რომ აღარავინ ახლოს ხელი, მანამ ფულს ჩააბარებენ და კოლექციას გადახიდავდენ მუზეუმში. მე ეს ამბავი მანდამინც დიდად არ მწყენია, ვინაიდან, თუ კოლექცია კავკასიის მუზეუმში დარჩებოდა, მოვლილი იქნებოდა, ფასით მაინც შეგვეძლო სარგებლობა საქორების დროს. ხოლო ჩვენი გეგმა ამით ჩაიშალა. წერა-კითხვის საზოგადოებას ესლა ვეღარ გამოეგარათვით თანხა, ბაქოელები თავისუფალი განდენ მოვალეობისაგან იურიდიულად, მაგრამ ზოგიერთებმა მაინც გაანადგეს თავის დანაპირები, ზოგმა მთელად, ზოგმა ნაწილობრივ. მათ შორის მთელად შემოიტანა თავის ხვედრი სულ ცოტა ხანში აკაკი ხოშტარიამ, იოსებმა ჩემის წინადადებით გვიყიდა მისი ნათესავის პუპი აბაშიძისაგან ბიზანტიური მილანქრის ჯვარცმის ხატი ორმოცი ათას მანეთად და სხვაც ბევრი დახმარება გავგიწია ზაკავაკსი ბანკის საშვალებით ნივთების შესაძენად.

ბოლოს კავკასიის დირექტორის განზრახული საქმეც ჩაიშალა. ფინანსთა სამინისტრომ არ შეიწყყარა ნამესტნიკის წინადადება და უარი უთხრა კოლექციისათვის ფულის გაღებაზე. ამ დროს რე-

ვოლიუციამაც მოაწია, ფული დაეცა, ერმაკოვის კოლექცია მაინც ჩვენ შევიძინეთ, ხოლო ესლა რასაკვირვლია მეტი მივეცი, ოთხმოცდაათხმეტი ათასი მანეთი. ეს ფული გავიღეთ და ვით სარაჯიშვილის მეუღლის ანდერძის გამო შემოსული ფულიდან და შემდეგ სანახევროდ კოლექცია ჩვენს ტფილისის ქართულ უნივერსიტეტს გავუზიარეთ.

პოლიტიკური რწმენით იოსები ყოველთვის ნაციონალ-დემოკრატი, პატრიოტი იყო. ის იყო თავმჯდომარე ჩვენი პარტიის კომიტეტის ბაქოში და სტამბოლში, როცა ჩვენი თავისუფლება გამოცხადდა და ნაციონალური საბჭო შესდგა, ბაქოელ ქართველებმა თავის წარმომადგენელად იოსები აირჩიეს და, რა თქმა უნდა, ჩვენც სიამოვნებით მივიღეთ. მატერიალურ დახმარებას უმეტესად ბაქოს ქართველებიდან მოველოდით. გვეხმარებოდნენ კიდევაც, შემდეგ როდესაც დამფუძნებელი კრების არჩევნები მოვიდა, ჩვენს ნაციონალურ დემოკრატიულ სიაში იოსები პირველ რიგში შევიტანეთ, რომ ბაქოელებს უსათუოდ ყოლოდათ თავისი წარმომადგენელი დამფუძნებელ კრებაში, მაგრამ რალაც მანქანებით, სიის ჩამოყალიბების და წარდგენის დროს ჩვენდა დაუკითხავად ის პირველ რიგიდან ამოეშალათ და შორს გადაეტანათ. ამიტომ დამფუძნებელ კრებაში ის აღარ მოხვდა. ეს ამბავი მას არც კი აცნობეს. თვითონ დარწმუნებული, რომ არჩეულია, პირდაპირ მოვიდა ერთ კრებაზე, შემოვიდა ზალაში და იქ გაიგო ქვესტორიდან, რომ ის არჩეული არ არის. სხვა, ასეთ მოპყრობას დიდ შეურაცყოფად მიიღებდა, პარტიას დასტოვებდა, ან ოფიციალურად პროტესტს გამოაცხადებდა. ამც ერთი და არც მეორე. ეს არ იყო მის ბუნებაში. ანის გამო კავშირი პარტიასთან მას არ შეუწყვეტია. ჩვენი თავისუფლების დროს, როცა მან, როგორც სხვებმა, ბაქოში ყველაფერი დაჰკარგა, ის შევიწროებული ცხოვრობდა ტფილისში, მაგრამ მაინც ახერხებდა ქართული იდეის პროპაგანდას უცხოელთა შორის, რომელნიც სშირი სტუმარნი იყვნენ მისი ოჯახის.

ემიგრაციაში, პარიზში, ის და მთელი მისი დიდი ოჯახი ყოველ მატერიალურ ღონისძიებას იყო მოკლებული, ექვს ქალში მარტო ერთი იყო გათხოვილი, სხვებს ჯერ სწავლაც არ დაემთავრებიათ. ფუფუნებას ჩვეულმა მისი ოჯახის მანდილოსნებმა აქ, როგორც სხვა ქართველ ქალებმა, დიდი მხნეობა გამოიჩინეს, შრომის ხალხად გადაიქცენ და თავიანთი პატიოსანი შრომით ირჩენდენ და დღესაც ირჩენენ თავს. ერთხელ იოსებმა მომწერა, ჩემი ქალები დღე და ღამე კერავენ, მე კიდევ ცეცხლს ვუნთებ და საქმელს ვუკეთებო. იოსები აქაც არც ერთს ქართულ საზოგადო საქმეს არ უშვებდა, რომ მსურვალე მონაწილეობა არ მიეღო. ის იყო თავმჯდომარე ქართული სამრევლო საბჭოსი, კავკასიის სამეცნიერო წრის, სინიქინერო საზოგადოების წევრი და სხვა. ის არ იშლიდა კრებების დასწრებას მაშინაც, როდესაც საშიშარი გულის ავადმყოფობა გამოაჩნდა, გრძნობდა აღსასრულის სიახლოვეს, მაგრამ ეს მას არ აშინებდა. შეკითხვაზე, როგორ ხარო,



ის დამშვიდებით ამბობდა, საიქიოდან ბილეთი მომივიდა, მიბარებენო. უკანასკნელად ის დაესწრო გიორგი წერეთლის მოსაგონარ საღამოს. ცუდად იყო, დარიც ცუდი იყო, მაგრამ მაინც მოვიდა. ამას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ მისგან გამოსათხოვარი წერილი მივიღე 23 მარტის თარიღით. მწერდა: ... «მე მომიარა ჩემმა ავადმყოფობამ, ძალიან სუსტად ვარ. ლოგინზე წამოწოლილი ვჯღაბნი ამ წერილს და იქნებ ვერც გაარჩიო, წუხელის ღამე ისეთი ძნელი სუნთქვა მქონდა, რომ მეგონა აღარ გამითენდებოდა. ეს, რაც იქნება იქნება! თუ გადარჩი, კიდევ გნახავ, თუ არა და მშვიდობით ძმაო, იცოცხლე და შენს ამაგს ნუ მოაკლებ შენს სამშობლოს».

ჟეშმარიტ პატრიოტს სიკვდილის წინაც სამშობლოს ინტერესი ედა თვალწინ და მისდამი ამაგს გვავალებდა. თვითონ კი მთელს თავის სიცოცხლეში ზრუნვა და ამაგი არ დაუკლია სამშობლოსათვის. არ იყო არც ერთი ქართული საზოგადოებრივი საქმე და დაწესებულება, რომელშიაც მას თავისი წვლილი არ შეეტანა. ეს კეთილშობილი ადამიანი მუდამ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნავდა. სამშობლოს კეთილდღეობა იყო მისი უმთავრესი ცხოვრების მიზანი. ის იყო ჩუმი მუშაკი, უპრეტენზიო და უანგარო, მან პირნათლად შეასრულა თავის მოვალეობა, რამდენადაც ეს იმ რთულ პროცესში, რომელსაც მოვესწარი, შესაძლებელი იყო. მისდამი პატივისცემა და ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ჩვენს შორის.

ექ. თაყაიშვილი.

**ლია წერილი შურ. „კავკაზის“ რედაქციას**

ბატონებო, თქვენი ჟურნალი «კავკაზი» აგერ რამდენიმე წელია გამოდის რუსულ ენაზე. თქვენ მას ყველას უგზავნით—გარდა ქართულ პრესის ბიუროსა და საქართველოს წარმომადგენლობისა ენენეაში, თუმცა ამ ბიუროს და ამ წარმომადგენლობას ხშირი და სრულიად დაუინტერესებელი სამსახური გაუწევია ბევრ თქვენგანისათვის. როცა თქვენ სხვა გარემოებაში იმყოფებოდით, ვინემ ახლა. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ სტამბოლიდან ბ. ბამატის ტელეგრამების გამოქვეყნება ერთა ღიგისადმი 1924 წ.

რატომ აკეთებთ ასეთ გამონაკლისს და არ უგზავნით სხვენებულ დაწესებულებებს თქვენს გამოცემებს? თუ თქვენც მართლა კავკასიის ერების დამოუკიდებლობისათვის იღწვით ისე, როგორც ისინი, რა გაქვთ დასამალავი მათ წინაშე? იმიტომ ხომ არ იქცევით ასე, რომ საერთო სიღარიბის დროსაც კი, როცა უცხოეთის ფრონტზე მუშაობა მეტად ძნელი იყო და თქვენც არაფრის გამოცემა შეგეძლოთ, ქართული პრესის ბიურო და საქართველოს წარმომადგენლობა ენენეაში ამ სიღარიბესაც არ შეუშინდენ და მეტის ენერგიით განაგრძობდენ მუშაობას საქართველოს და მთელი კავკასიის სხვა

ერების განთავისუფლებისათვის? დიახ, იყო დრო, როცა მხოლოდ მათი საშუალებით გაისმოდა ევროპაში ამალღებული ხმა საბჭოთა რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერთა სასარგებლოდ!

რასაკვირელია, ზემოხსენებული ფაქტები და მოსაზრებები, თუმცა ფრიალ დამახასიათებელი, ვერ იქნებოდენ ჩემთვის საკმარისი ამ წერილის მოსამართლად. მაგრამ არის საკითხი ბევრად მწვავე და სერიოზული.

გავეცანი თქვენი «კავკაზის» ნომრებს და ჩემთვის ნათელი არაა, თუ ვის საქმეს ემსახურებით თქვენ? ხართ თქვენ ჩვენი ერების განთავისუფლების გულწრფელი მომხრენი თუ არა? მართალია თქვენ ავინებთ ბოლშევიკებს და აქებთ მათდამი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს. მაგრამ, უნდა დამეთანხმოთ, ეს არ არის პატრიოტულ გულწრფელობის და საბჭოთა რუსეთისადმი ნამდვილ მტრობის საკმარისი დამახასიათებელი თვისება. აბა მიბრძანეთ, რომელი ბოლშევიკების პროვოკატორი არ იქცეოდა ასე?

ეს მხოლოდ კითხვის დასმაა და, რასაკვირელია, არ ნიშნავს რედაქციის ეჭვს ქვეშ დაყენებას. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგს: როგორც ამას თვით თქვენი ჟურნალი «კავკაზი» აღიარებს, «ეროვნულ დამოუკიდებელი აზრის ორგანო» ვარო და არა მოქმედებისა, არა ბრძოლისა, თქვენ წარმოადგენთ ერთ ჯგუფს ემიგრაციისა, გამდგარ და უკმაყოფილო ელემენტებისაგან შემდგარს, რომელიც არ ეყრდნობა არავითარ მებრძოლ ორგანიზაციას საზღვარ გარედ და არც რაიმე მჭიდრო კავშირი გაქვთ ჩვენ კავკასიის ერებთან.

რა ზიანს მიაყენებს ბოლშევიკებს ასეთი «აზრის ორგანო»? ვერავითარს!

რა სარგებლობას მოუტანს ის ბოლშევიკებს? ბევრს, ძალიან ბევრს! აი რატომ:

თქვენ წამოგიყენებიათ სადისკუსიოდ ჩაგრულ ერების საზღვრების საკითხი, რომელმაც ბუნებრივად ეს ერები ერთი მეორეს უნდა დააშოროს და მათ ზოგი მეზობელი მოამდუროს. ვის ესაუპიროება ეს? მხოლოდ ამ ერების მჩაგვრელებს—ბოლშევიკებს!

ევროპიულ ენებზე აქვეყნებთ «კავკაზს» და შიგ ეწევით სისტემატიურ ტყუილის, ცილისწამებისა და გაზახების კამპანიას სწორედ დაჩაგრულ ერების თავისუფლებისათვის მებრძოლ მასიურ ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციების წინამდევ, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ თავის ქვეყნებთან. ვის ესაუპიროება ამ ანტიბოლშევიკურ მებრძოლ ორგანიზაციების დასუსტება, დანგრევა? ცხადია, მხოლოდ მოსკოვს!

თქვენ ეძებთ ციტატებს სხვადასხვა ქართულ გაზეთებში; ამ ციტატებს კიდევ ამახინჯებთ; მათ თავს ახვევთ ეროვნულ ცენტრს და მთავრობას და ისე აწვდით უცხოელებს, რათა სახელი გაუტახლოთ ეროვნულ ორგანიზაციას, რეალურ ანტიბოლშევიკურ ძალას, რომელიც სხვა დაჩაგრულ ერების განმთავისუფლებელ მოძრაობასთან მჭიდროდ შეკავ-



შირებულთა. ვინ არის დანტერესებული ამაში? მხოლოდ მოსკოვი!

თქვენ «კავკაზის» ფრანგულ გამოცემის 1937 წ. ოქტომბრის ნუმრის მოწინავეში ინსინუაცია და ცილისწამება გაავრცელეთ ყენევაში საქართველოს წარმომადგენლობის შესახებ. იქ ამტკიცებთ, თითქმის გასული წლის 12 სექტემბერს ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა ინტერნაციონალურ უნიონის გენერალურ საბჭოს სხდომაზე საქართველოს წარმომადგენელს ხმა მიეცეს იაპონიის წინამდგე გამტანილ რეზოლიუციისათვის. სინამდვილე სრულებით წინამდგეს ამბობს: ის დაესწრო დილის სხდომას, სადაც 16 ასოციაცია იყო წარმოდგენილი. დისკუსია არ გათავდა და კრება გადაიდგა ნაშუადღევსათვის. ის ამ მეორე კრებასაც დაესწრო, რომელმაც აირჩია რეზოლუციის გამოსამუშავებლად სარედაქციო კომისია. აქ შეთანხმება დიდხანს არ მოხდა და საქართველოს წარმომადგენელმა 17 საათზე მიატოვა კრების დარბაზი. ასე რომ მესამე კრებას, სადაც კენჭის ყრა მოხდა, ის არ დასწრებია (არ დასწრებთან აგრედვე დანიის, ესტონიის, თურქეთის, ლიუქსემბურგის, ისპანიის და ინდოეთის ასოციაციების წარმომადგენლები). უკანასკნელ სხდომას 16 ასოციაციიდან მხოლოდ 11 დაესწრო, რომელთაგან რეზოლუციას ათმა მისცა ხმა ერთის—იაპონიის წარმომადგენლის წინამდგე. თუ სიმართლე გაიტერესებდათ, სანამ მაგ ყალბ ცნობებს გაავრცელებდით, თქვენ უნდა შეპკითხებოდით თვით იაპონიის წარმომადგენლებს. ვისთვისაა სასარგებლო ამ ყალბი ცნობების გავრცელება? მხოლოდ მოსკოვისათვის!

თქვენ 4 თვის შემდეგაც იმეორებთ ამ თქვენ მიერვე გავრცელებულ ტყუილს და ბ. ბამატის კალმით «კავკაზის» (თებერვალი 1938) რუსულ გამოცემის მოწინავეში სწერთ: ჩვენ კონკრეტული ფაქტები გვაქვს მოყვანილი საქართველოს ეროვნულ მთავრობის წარმომადგენლების მიერ იაპონიის, ნაციონალურ ისპანიის, გერმანიის, იტალიის და თურქეთის წინამდგე გამოვლენებისა და პროპაგანდისა ერთა ლიგის დამხმარე საერთაშორისო საზოგადოებებში!

რომ არაფერს მაგის მგსავს ადგილი არ ჰქონია, თქვენ კარგად იცით «დამოუკიდებელი საქართველო»-ში მოთავსებულ ანგარიშებიდან სწორედ ის ინტერნაციონალურ საზოგადოებების კრებებისა, რომლებზედაც თქვენ რეპარაჟობთ: ან პირდაპირ გამოსულან საქართველოს წარმომადგენლები და დაუმტკიცებიათ მოთხოვნილ ზომების შეუსაბამობა (1936 წ. 13 ივლისს მშვიდობიანობის მსოფლიო კონგრესზე კარდიფში იტალიის წინამდგე სანქციების მოხსნის მოთხოვნა ქვემოთ ხელის მომწერის მიერ) ყველგან, სადაც კი ხსენებულ ქვეყნებზე დებატები ატეხილა, ან დისკუსიებში და კენჭის ყრაში მონაწილეობის იმდებისაგან სავსებით თავი შეუკავებიათ. იტალია-ეთიოპიის კონფლიქტის შესახებ ჩვენი აზრი და ინტერნაციონალურ საზოგადოებებში დაკავებული პოზიცია აღნუსხულია «დამოუკ. საქართ.» 1935 წ. ოქტომბრის ნუმერში სათა-

ურით: «ერთა ლიგის ირგვლივ», ხოლო ისპანიაში სამოქალაქო ომის შესახებ 1937 წ. მარტის ნუმერში სათაურით: «ყენევაში». ორივეხელ ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა ინტერნაციონალურ უნიონის გენერალურ საბჭოს ჰქონდა გამართული დიდი დებატები და ორივეხელ ჩვენი პოზიცია ნათლად იყო გამოხატული, რაც სავსებით აქარწყლებს «კავკაზის» მიერ მოწერილ ურბებს. მაგრამ საპიროდ მიგვაჩნია მაინც დავსძინოთ იმათდა საყურადღებოდ, ვინც «კავკაზის» მიერ გავრცელებულ ტყუილების მსხვერპლია: ჩვენი პოზიცია და ტაქტიკა ნაკარნახევია თვით ჩვენი ქვეყნის მდგომარეობით, რომელიც დაპყრობილია რუსეთის იმპერიალიზმის მიერ და ამ უკანასკნელის წინამდგე ბრძოლაში არავითარ დოქტრინას და პარტიულ საკითხებს არავითარი ადგილი არა აქვს.

ბატონებო, მორალურად თქვენ ვალდებულნი ხართ გაასწოროთ ეს თქვენგან გავრცელებული ნამეტანი აშკარა ტყუილები.

ს. შავიშვილი.

ყენევა, 11 აპრილი 1938 წ.

ი ლ ი ა  
(დასასრული)

«განთავისუფლებამ» განთავისუფლება არ მოგვიტანა, მაგრამ ცხოვრებას ერთი კარგი მუჯღუგუნი მაინც წაჰკრა და ახალი სასიცოცხლო ელემენტები, ახალი ტიპები მისცა ქართველ ხალხს, მომავალ განვითარებისათვის,—მეტად საიმედო და სასარგებლო: არჩილი, ეს მერცხალი «განთიადის დასაწყისისა», პატიოსან ინტელიგენტის გატაცებით რომ იცნებობს ორ ნაპირს შუა უფსკრულის ამოვსებაზე და თავისუფალი გლეხი გიორგი, ქართული გუთანით ხელში ქართულ მიწას რომ სიყვარულით და მონდონებით გულს უხსნის, ეს ჯანსაღი და იმედით სავსე ადამიანი.—მთ შორის ზავი უნდა ჩამოვარდეს.—წოდებთა შორის ბრძოლის და შეურიგებლობის ადგილი თანამშრომლობამ უნდა დაიკავოს და ამ თანამშრომლობაზე უნდა აეგოს ჩვენი ეროვნული ცხოვრება, თუ გამარჯვება გვინდა.—გუთანი, ეს ქართველობის არსებობის ღერძი, შუაში უნდა ჩაუდგეს ხმალსა და ოქროს: გლეხმა, თავადმა, მრეწველმა, თავისი კერძო, ვიწრო წოდებრივ ინტერესების გადალახვით, ხელი უნდა გაუწოდონ ერთმანერთს შეთანხმებულ მუშაობისათვის საერთო სამშობლოს საკეთილდღეოდ. «ქვეყანა იმისაა, ბატონებო, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ!»:—ამბობს ილია ჭავჭავაძე.

და ყველაფერი ეს უნდა აღსრულდეს, თუ თავმოყვარეობა გვაქვს, ნებაყოფლობით, ძალდაუტანებლად, «ქართველობის საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით,—აწინდეს და დამკვიდრდეს... ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვე-



ყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: «სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა»? ამ სამოთხე ქვეყანაში მართა ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება»-ო. ყველაფერს ამას მოვლა უნდა, პატრონობა, შენახვა მომავალ თაობათათვის და ეს კი შესაძლებელია მხოლოდ დინჯი, ფრთხილი და შეთანხმებული მუშაობით, რასაც მტკიცე ეროვნული ნება და შეგნება უნდა ასაზრდოებდესო. უკვე განვიღო დროის ნაწილი ნაღვალში და გვიმტკიცა, რომ იმედიანად უნდა ვიყოთ, რადგან მან «გასწმინდა ცოტად თუ ბევრად ქვეყნის დამაბნელებელი ბურჟისი, გადაწყარა ღრუბლები და ჩვენი ეროვნული ცნობიერება გამოაღვიძა... უმადურობა იქნება და არც სიმართლეს შეადგენს უარყოფა იმ სარგებლობისა, რომელიც მოგვიტანა ჩვენ ბატონ-ყმობის გადავარდნამ, თუმცა ახლის, მაგრამ მაინც ფრთა-შეკვეცილის სამართლის წესების შემოღებამ, თვითმართველობის ნამტკიცებამ და სხვა და სხვა... რაც უნდა გულღრძობა და ჯუღელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის», რომ... «ერთობის გრძობის გავლილებას საქართველოს სხვა-და-სხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის წინსვლა არ დატყობდეს»-ო. ამიტომ არის საჭირო და აუცილებელი ამ გზით სვლა, — ყოველდღიურ, დაუღალავ, შეიძლება პატარა საქმიანობით, დიდი საქმისათვის მტკიცე ნიადაგის მომზადება. — და ქართველი ხალხის ეს მუშაობა უნდა გაბრწყინებული იყოს იმ წმინდა მიზნით, რომლის საგანი არის «ბახალეთის ტბიდან» ოქროს აქვანში ჩაწვენილ ყრმის ამოყვანა და ქართლის დედისთვის დაბრუნება სამარადისო სიხარულისა და ბედნიერებისათვის. — ეს «ის ყრმა არის», «ვისიც არ ითქმის სახელი. ვისაც დღე და ღამ ჰნატრულობს ჩუმის, ნატვრითა ქართველი»-ო, — მაგრამ რომლის საიდუმლოება მოხვედრე გულში დასამარხავად გაანდო მგოსანს...

ასეთი სახით გვევლინება ჩვენ ის დიდი მწერალი და ადამიანი, რომელმაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავისი მხატვრული ენერჯია, თავისი ფიქრი და მოქმედება თავისი მშობელი ერის სამსახურს მოანდობა, როგორც მგოსანმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ.

ის განსაკუთრებული როლი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ითამაშა, სავსებით შეეფერებოდა და გამოხატავდა იმ დროს, რომელსაც მთელი თავისი ძლიერი პიროვნებით წარმოადგენდა, როგორც მისი მედროში.

და როგორც ეს დრო — მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი — რუსეთისა და მასში შემავალ დაპყრობილ ერებისათვისა სოციალ-პოლიტიკურად ორ ხანად გაიყო, ისე მთელი მუშაობა ჩვენი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ორ პერიოდად გადაიშალა ქართველი ხალხის ისტორიულ სინამდვილეში.

პირველი იწყება ორმოცდაათიან წლების მიწურულით და გრძელდება ვიდრე ოთხმოციანამდე; — ის დაკავშირებულია იმ ეგრედ წოდებულ «დიდ რე-

ფორმების ეპოქასთან», რომელიც ყირიმის ომში დამარცხების შედეგად მოველინა რუსეთს და საზოგადოების მოწინავე წრეებში დაგუბებულ აზრებსა და მისწრაფებებს თუმცა ვიწრო, მაგრამ მაინც, გასავალი უჩვენა, იმედი გაუღვიძა.

მეორე იწყება ოთხმოციან წლებით და თავდება ილიას მოწამებრივ გარდაცვალებით; ის შედეგია ალექსანდრე III და პოტელონოსცევის შევხედის — «შავი რეაქციისა» და «მესამე განყოფილების» — ხანის, რომელიც სულთამხუთავივით დაწვა მთელ სახელმწიფოს უზარმაზარსა და უფორმო სხეულს და განსაკუთრებით დაპყრობილ ერებს, «ინოვაციებს» მიიყენა უმთავრესო ზიანი და ტანჯვა ვაება.

«ლიბერალისტურმა ხანამ» საზოგადოებაში მოქმედების სურვილი, მკვდარი ადგილიდან დაძვრის იმედი დაბადა; — მეორემ თავისი საშინელებით რეჟიმის სიძულვილი თუმცა გააძლიერა, მაგრამ მრავალი დააფიქრინა, შეაშინა, საზოგადოებრივ მუშაობას ჩამოაშორა, — ბევრს კიდევ ფარულ მუშაობისათვის გზა სხვა მიმართულებით უჩვენა. — და მცირე იყო რიცხვი მათი, ვინც შექმნილ პირობებში კიდევ მომხრე იყო ცხოვრების ზედა პირზე მუშაობის განგრძობისა, რადგან უკონტროლო და უპასუხისმგებლო წყობილება ჰკლავდა ძირშივე ყველაფერს, რასაც წინსვლის, წარმატების ნიშანწყალი ჰქონდა.

რასაკვირველია, თუ ეს მდგომარეობა გაცილებით მეტი ინტენსივობით მოქმედებდა, ტყდებოდა იქ, სადაც დაჩაგრულ ერების ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, მათი ისტორიის, კულტურის. — დიას არსებობის საკითხი; — როგორ უნდა გადაჭრილიყო ის ამ ერების წინამძღოლთა და მუშაკთა აზროვნებასა და მოქმედებაში? — მწვავედ იგრძნო და განიცადა ის ილია ჭავჭავაძემ, განიცადა და გადასწყვიტა: დარჩენილიყო თავის პოსტზე, განეგრძო საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო მუშაობა ახალ პირობებთან შეფარდებით, მაგრამ ეროვნული თავმოყვარეობის და სიამყის სრულის შენახვით.

ის დარწმუნებული იყო, რომ ამას მოითხოვდა მისგან მშობელი ერი და ჰქონდა იმედი, რადგან სწამდა თავისი პიროვნების ძლიერება, რომ დროის მიერ წამოყენებულ საკითხებს მოგებით გადასწყვეტდა, ერს პირნათლად წარუძღვებოდა...

პირველი ხანის ილია რევოლუციონერია, ბრძოლის მომღერალი, მისი მგოსანი, — «თერჯია, მუდამ მოუსვენარი», შემტევი, მუდამ ახალი გზების მძებნელი: — აქ მისი ხმალი-სატევარია.

ილია მეორე ხანის დინჯი, მშვიდი, მტკიცე დამცველია და შემნახველი მძიმე წარსულის შენაძენის, სულგრძელი ატანით რომ შესაფერ დროს უცდის, ყოველ საშუალებას იყენებს «ვინაობის დაცვისათვის», მუშაობს და უცდის და ამ ცდაში იალბუნია «ცივი და მიუკარებელი», მაგრამ მასავით მაგარი და განუთმეორებელი, თავისუფალი, — ერთადერთი, საზოგადოების აზრის, ფიქრის და გრძობის მპყრობელი, ერის ინტერესების დამცველი, მისი

ერთგული შვილი: და აქ ხმალი-ფარია მისი.

კაკო, გაბრო, მოხუცი «აჩრდილში» და მოხვევა ახასიათებენ ახალგაზრდა «თერგდალეულს», რომელიც ბრძოლის ველზე ჰყავს გაგზავნილი მგოსანს ილია-მოღვაწე, ცხოვრების დინჯი დამფასებელი სხვას არავის უშვებს საბრძოლველად,—თვითონ იბრძვის, იცავს, ნიადაგს ამზადებს, დარწმუნებულა, რომ არ ცდება და იძახის: მომყევით!-ო. ერთი გმირი ჰყავს მას და ეს გმირი თვითონ არის: ერის ურყევი მსახური, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების მასპინძელი,—მამა, რომლის სიტყვას, აზრს უცდიან, ელიან:—«ილიამ ბრძანოს».-ო.

ორივე ხანას ერთი ფიქრი აერთებს და ეს ფიქრია: «ჩვენ თავს უნდა ვეყუდნეთ», «დაცემული ვინაობის აღდგენა,—და ერთი აზრი ჰყოფს და ეს აზრია: ერთად-ერთი პირობა ერის გამარჯვებისათვის არის მისი მთლიანობა, მის შემადგენელ სოციალ ნაწილთა შორის კომპრომისი, რადგან იდეა ერის ჰფარავს, უნდა ჰფარავდეს ყველაფერს-ო. «ცხოვრების წიგნში» სხვაც სწერია და ეს იცის ილიამ... შესანიშნავ მიმობილვაში «მეცხრამეტე საუკუნე» ის, როგორც მიუდგომელი დამკვირვებელი, ამბობს: «ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, ... რომ მან განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა... კაცთმოყვარული მოძღვრება», რომელსაც «დაუდგა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწყო მოძღვრებად გარდააქცია. მან სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა გაუქმება ქონებისა და შემოსავლის განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობის... დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სუამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის სიმწვავე ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს».-ო.

მაგრამ უფრო დიდია ტკივილი ერისა, მით უფრო, თუ ის დაპყრობილია და ამ ტკივილმა უნდა შეანელოს ერში არსებული წინაამდგომლები, შეარიგოს სოციალური კლასები, მოსპოს მათ შორის ბრძოლა, რადგან მხოლოდ ასე გაერთიანებულ ხალხს შეუძლია იქონიოს იმედი თავის ვინაობის აღდგენისა. ჯანსაღი ეროვნული ორგანიზმი ადვილად გადახარშავს სოციალ საკითხსაცა-ო.

მ.—მე.

დაბეჯითებით ვთხოვთ ხელის მძღწერთ, დროზე შემდითანონ ხელის მძღწერის ფასი. ვიხედავ დარჩენილია ძველი, ძვავაღნებთ, რომ გაასწორონ ანგარიში, ძვავა ვადაში.

დიდი გეგმანი

ჩვენ გავხდით მოწამე მნიშვნელოვანი ისტორიული აქტის. გერმანიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომლის საძირკველი ჩაიყარა 1871 წელს ბისმარკის ხელით, თითქმის სავსებით დასრულდა დღეს.

წარსული საუკუნე—საუკუნე ეროვნული ჩამოყალიბებისა—გამუდმებით აყენებდა დღის წესრიგში გერმანულ ტომთა შეერთების კითხვას. მაგრამ ტრადიციული დაქუცმაცება და ქიშპობა, დინასტიათა მეტოქეობა და რელიგიური წინააღმდეგობანი დიდხანს ხელს უშლიდნენ ამ გაერთიანებას. ბრძოლა ავსტრიისა და პრუსიის, ჰაბსბურგების და ჰოჰენცოლერნების, ჰეგემონიისთვის, დასრულდა 1866 წლის ომში პრუსიის გამარჯვებით. ბისმარკმა გაიყარა ავსტრია და თავი მოუყარა დანარჩენ გერმანულ ქვეყნებს პრუსიის მეთაურობის ქვეშ. მან ჯერ, 1867 წელს დაარსა, ჩრდილო-გერმანული კავშირი. ამას მოყვა 1870-1 წლის საფრანგეთ-გერმანიის ომის შემდეგ გერმანულ ქვეყნების—გარეშე ავსტრიისა—გაერთიანება ერთ სახელმწიფოში. ავსტრია კი რჩება უნგრებთან, ჩეხებთან, სლოვაკებთან და სხვა ეროვნულ უმცირესობებთან ცალკეულ დიდ სახელმწიფოდ «ავსტრო-უნგრეთის მონარქიაში».

საერთაშორისო ომის ბოლოს, რა წამს დამარცხებული ავსტრო-უნგრეთი დაიშალა და მის ადგილზე ეროვნული სახელმწიფოები აღიმართნენ, მართლად დარჩენილ ავსტრიას—ექვს მილიონიან გერმანულ ქვეყანას—ბუნებრივად დაებადა იდეა დედასამშობლოსთან, გერმანიასთან შეერთებისა. 12 ნოემბერს 1918 წელს დაარსდა «გერმანული ავსტრიის რესპუბლიკა» და იმავე დღეს დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაადგინა გერმანიასთან შეერთება, რასაც, რასაკვირველია, გერმანიაც ემხრობოდა. მაგრამ გამარჯვებულნი ანტანტა სხვანაირად ბუობდა. მან კლემანსოს პირით გამოუცხადა ავსტრიის დელეგაციას, სენ-ჟერმენის ხელშეკრულების ხელის მოწერის დღეს, 1919 წლის 10 ოქტომბერს: «ჩვენ ვცნობთ ავსტრიის რესპუბლიკას როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს». თვით სახელწოდებიდანაც ამოშლილ იქნა სიტყვა «გერმანული» და გერმანიასთან შეერთებას («ანშლუსს») ვეტო დაედო.

გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტური გადატრიალების შემდეგ ეკონომიურად და პოლიტიკურად დაუძლურებული ავსტრიის სახელმწიფო თანდათან კრიტიკულ და ნერვიულ მდგომარეობაში ვარდებდა. შინაგანი ძალები ვერ ახერხებენ ქვეყნის შეთანხმებულად მართვას. ორი უდიდესი პარტია—ქრისტიანულ-სოციალური და სოციალდემოკრატიული—თითქმის ორივე დემოკრატიულ ნიადაგზე მდგომი, ადგილიან ერთმანეთთან სამოქალაქო ომის გზას, რაც ორივეს ასუსტებს და აჩანავებს. პირველის მემარჯვენე ნაწილი, შეკავშირებული უფრო მემარჯვენე ვიწრო ნაციონალისტურ კავშირებთან (მილიტარულად დარაზმული ჰაიმვერი, რომელსაც იტალია ამარგებდა) ჰქმნის დიქტატორულ მთავ-



რობას, რომელიც 1934 წლის თებერვალში სისხლში ახრჩობს სოც.-დემოკრატიის ამბოხებას და იმავე წლის აგვისტოში ნაციონალ სოციალისტებისასაც, რომლის დროს მოკლულ იქნა პრემიერ მინისტრი დოლოფუსი. მაგრამ ოპოზიციონური სული არ ცხრება. პირიქით, ის უფრო და უფრო ძლიერდება. ვენის მთავრობა (შუშნიგის) ჰაერში გამოკიდებული რჩება. ავსტრიის დამოუკიდებლობის დამცველი თითქმის მხოლოდ გარეშე ძალები რჩებიან. უპირველესად იტალია. სწორედ მუსოლინი იყო, რომ 1934 წ. აგვისტოს დღეებში ავსტრიის სახლდარზე ჯარები მოიყვანა, რათა გერმანიის ჩარევისათვის ხელი შეეშალა. მაგრამ გასულ წლებში ბერლინ რომის დერძის განმტკიცება მდგომარეობას ძირიანად სცვლის. და აი, როდესაც გასულ მარტის ისტორიულ დღეებში ავსტრიის ნაციონალისტები, გერმანიის სამხედრო ნაწილების დახმარებით ავსტრიის გერმანიასთან შეერთებას ფაქტად აქცევენ, მათ არც შიგნით არც გარედ, თითქმის, არავითარი დაბრკოლება აღარ ხვდება. ავსტრიის შესვლა გერმანულ სახელმწიფოს ფარგლებში შეიქნა ფაქტი. და ფაქტი კი—გეტოს სიტყვით რომ ვთქვათ—ყველაფერია. ორი დღე დიპლომატიური პროტესტი აქ არაფერს ცვლის.

ავსტრია იქცა გერმანიის ნაწილად, ისე როგორც არიან ბავარია ან საქსონია, რომლებშიაც წინანდელი პარტიკულიარიზმის ნაშთები უკანასკნელ წლებში თითქმის სავსებით აღმოიფხვრა. გერმანიას მოემატა ტერიტორია 83.000 კვ. კილომეტრის სივრცით (დღევანდელ საქართველოზე მეტი) და 7 მილიონიანი მოსახლეობით. დღეს გერმანია არა მარტო მოსახლეობის მხრივ (75 მილ.) არის ევროპის უდიდესი სახელმწიფო (რუსეთს თუ არ ჩავთვლით), რაც ის აქამდისაც იყო, არამედ ტერიტორიის მხრივაც (55 ათას კვ. კ.). გერმანია გახდა უშუალო მეზობელი იტალიის, იუგოსლავიის და უნგრეთის, რომელნიც მასთან პოლიტიკურ მეგობრობაში და ფართე ეკონომიურ ურთიერთობაში იმყოფებიან. ამათ მისი ეკონომიურ-პოლიტიკური აქტიურობის შესაძლებლობა სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში ერთი ორად იზრდება. ცნობილი რაინ-მაინ-დუნაის არხიც ესლა უფრო ადვილად შეიძლება გაშენდეს, რადგან დუნაის საგრძნობ ნაწილი ავსტრიის ტერიტორიაზედ მიმდინარეობს; უკვე გაცნობილია ამ არხზე მუშაობა, რომლის მნიშვნელობა მთელი ახლო აღმოსავლეთისა და თვით ჩვენი ქვეყნისთვისაც, როგორც ცნობილია, უაღრესად დიდი იქნება.

დიდი გერმანიის შექმნა რომ—ბერლინ-ტოკიოს ღერძს საგრძნობად ამტკიცებს და ამ ღერძში ბერლინის მნიშვნელობას აძლიერებს. ამ კავშირის უახლოესი კანდიდატებიც—უნგრეთი, ბულგარეთი და იუგოსლავია—მის ორბიტაში ემწყყდებიან. გერმანია ერთის დაკვრით ფრიალ დაუახლოვდა ხმელთა შუა ზღვასაც (80 კილომეტრით) და აღმოსავლეთ ევროპასაც. ბერლინ-მოსკოვის ჭიდილში ბერლინის შანსები თვალსაჩინოდ გაიზარდა.

y.

### მოხსენება საქართველოზე

(პირადა)

მარტის უკანასკნელ რიცხვებში უკრაინის სოციალიზმურ ინსტიტუტში პრალაში მოხსენება გააკეთა ჩვენმა თანამემამულემ ე. ლომთათიძემ თემაზე: საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვა. მოხსენებას დაესწრო ამ დაწესებულებისთვის არა ჩვეულებრივი რიცხვი მსმენელთა და დიდი ინტერესით იქმნა მოსმენილი. ეს დამტკიცდა მითაც, რომ ერთხანევი საათიან მოხსენების შემდეგ შეკითხვები და შენიშვნები კიდევ გაგრძელდა ერთხანევი საათს. ამ მოხსენებამ გამოარკვია ისიც, რომ უკრაინელებიც კი, ეს ჩვენი უახლოესი თანამებრძოლი და თანამშრომელი დღევანდელ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, არა საქმაოდ იცნობენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, პოლიტიკას, ეკონომიკას. მოხსენებას დაესწრო რამდენიმე ჩეხი და რუსი, რასაკვირველია, უმრავლესობა პრალაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების. ჩვენმა მწერალმა-ეკონომისტმა განუცხადა მადლობა მოხსენებელს: ომის წინად გამივლია საქართველოში, მაგრამ თქვენმა მოხსენებამ აიხილა თვალები ამ მშვენიერ ქვეყანაზე, რომელსაც ასე ნაკლებ იცნობს ჩემი ქვეყანა. რუსმა ჩერხოვმა განსაკუთრებული ქებით მოიხსენია ქართული პოლიტიკა და-დამოუკიდებლობის დროს. მოვისმინეთ სხვა მზგავსი შენიშვნებიც, ალტაცებული დაფასება ჩვენი ქვეყნის და მოღვაწეების პროფესორი შრამჩენკოსი, დირექტორის ხსენებული ინსტიტუტის და ამ სხდომისაც. ის რევოლუციის პირველ ხანებში იყო ტფილისში და ერთ დროს მიწვეული იყო დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრის გ. ყურულის მიერ თანამშრომლად მის სამინისტროში. ამ ჩვენს მეგობარს არ შეუძლია, როცა საქართველოზე ლაპარაკობს, განსაკუთრებული პატივისცემით არ მოიხსენიოს გ. ყურული, ეს ჩვენი მცხოვანი ქართველი მოღვაწე.

სხდომამ იქვე ერთხმად სთხოვა ლომთათიძეს შემდეგი მოხსენება უძღვნას საქართველოს დღევანდელ ბრძოლას თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის.

### ჟენევა კიდევ რუსთაველზე

ოთხს დეკემბერს ჟენევის უნივერსიტეტში დღეობის ბრწყინვალედ ჩატარების შემდეგ რუსთაველმა ყველა საზოგადოებების ყურადღება მიიპყრო. ბევრმა სთხოვა ხ: შავიშვილს ლექციის წაკითხვა. აღნიშნავთ მხოლოდ «ადამიანის და მოქალაქის უფლებათა ლიგის» ჟენეველ სექციის მიერ ამას წინად გამართულ კრებას ხსენებულ ლექციის მოსასმენად. ცნობილია, რომ ეს ლიგა ერთიანად «ფრონ პოპიულერის» ხალხისაგან შესდგება, რომელიც სრულებით არაა განწყობილი, დღეს ბოლშევიკებს აწყენიოს რამე და ნამდვილი უფლება დაიცვას. მართლაც კრების გახსნისას თავმჯდომარე დიდის სიფრთხილით მიესალმა შავიშვილს და თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ის პოლიტიკაზე არაფერს იტ-



ყოფდა, სთქვა: «ჩვენი სიმპატიური ლექტორის თვით ფიგურაც გვაზინებს დღეს ცოტად, ვინაიდან ის სულ სხვა მისწრაფებების განსახიერებაა და გვაგონებს გადაუჭრელ რთულ პრობლემებს». ლექტორი შეეცადა, კრება კიდევ უფრო დარწმუნებულიყო თავიდანვე, რომ არავითარ პოლიტიკურ საკითხებს არ შეეხებოდა, «რადგან ის თვით მოხარული იყო აქტუალურ პრობლემების რამდენიმე წუთით მოშორებით და კაცობრიობის სამარადისო საკითხების სფეროში გადასვლით მოსვენების ნეტარებას მისცემოდა». ლექციის შინაარსის მოყვანას, რომელშიაც კრება აღტაცებაში მოიყვანა, არ შევედგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლექციამ ისე გაიტაცა თავმჯდომარე, რომ თვით დაინახა საჭიროდ, ფრიად გრძობიერი პოლიტიკური სიტყვა წარმოეთქვა. მან შავიშვილს მხურვალე მადლობა გადაუხადა და დასძინა: ეს საუკეთესო პროპაგანდაა, რომელიც გვაცნობს და გვაყვარებს ქართველ ერს. ქეშმარიტად, ერი, რომელსაც რუსთაველი მოუცილა, თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს».

ქენევის ნაციონალურ ინსტიტუტის ლიტერატორულმა სექციამ სთხოვა ხ. შავიშვილს მის პირველ მორიგ კრებაზე ლექციის წაკითხვა რუსთაველის შესახებ.

ა ნ ბ ა რ ი შ ი

ტუბერკ. ავადმყოფ ქართველთა დახმარე საზოგადოების კასის გასაძლიერებლად 13 მარტს გამართულ საღამოსი.

- შემოსავალი იყო სულ 3.685 ფრ. 60 სანტიმი.
- ხარჯი 1.383 ფრ. 90 სანტიმი.
- წმინდად დარჩა 2.301 ფრ. 70 სანტიმი.

კომიტეტი უღრმეს მადლობას უძღვნის ქალბატონთ: ალშიბაიასას, აბდუშელისას, გვაზავასას, მგალობლიშვილისას, ჩხენკელისას, რამიშვილისას, კედიასას, წულაძისას, კვინიტაძისას, ბაბაღე მრელიაშვილს, ჯაყელისას, დემელონისას, ჯაფარიძისას, ერადისას, გოგუაძისას, უხვი შემოწირულებისა და ყოველგვარი დახმარებისათვის, აგრეთვე ბატონთ: ნ. ცინცაძეს, სკამპოჩიშვილს, რომანიშვილს, ქუთათელაძეს, შავლაყაძეს, მეფარიშვილს, გოგუაძეს, ერადეს, წულაძეს, მაჭავარიანს უხვი შემოწირულებისთვის, ქალბატონთ: დადიანს, ქორდანიას, რამიშვილს, წულაძეთ, ბარნოვს, ლორთქიფანიძეს, ბ-ნთ მოდებაძეს, ჯაფარიძეს და სტურუხს. კომიტეტი ღრმა მადლობას უძღვნის ქალბატონთ: ფაღვას და ი. გომართელს, ბატონთ: ბერეჟიანს, მაყაშვილს, ძმ. თაქთაქიშვილებს, ასათიანს და მარჯანიშვილს არტიკული განყოფილებების, ბარკალაიას და ქართული გუნდის ყველა წევრთ ასეთ მოკლე ხანში ასე მწყობრი საკონც. განყოფ. ჩატარებისთვის, განსაკუთ. მადლობას უძღვნის კომიტეტი ეთერ ფაღვას—ცეკვისთვის და საერთოდ ყველას, ვინც შემოწირულებით, პირადად მუშაობაში მონაწილეობის მიღებით თუ დასწრებით ხელი შეუწყოს საღამოს.

ტუბ. ავად. ქართ. დამს. გამგებმა.

პ რ მ ს ა

«კავკაზი»-«კავკასია» ძალიან ცდილობს თავის განწირულის და ანტიქართული მუშაობის გარდაკვებას აშკარა ტყვილების დაჭრების საშუალებით. ამას წინადაც. დიასამიძეს რატომღაც დასჭირდა ძველი ამბის გახსენება, ბერლინის «ქართველ ნაციონალისტთა» მოწოდების შესახებ, და ამ ორგანიზაციის წევრებად დაასახელა პირები, რომლებიც პირიქით ამ ორგანიზაციის მოწინააღმდეგე იყვნენ, ხოლო, რაღაც მოსაზრებით (?), არ მოიხსენია ორგანიზაციის ზოგი აქტიური მონაწილე. ბ. დიასამიძე მთელ ამ საქმესთან ახლო იდგა და ყველაფერი პირადადაც კარგად იცოდა, და ახლა რომ დაინტერესებულმა პირებმა ტყვილის გასწორება მოითხოვეს, «კავკასიის» რედაქცია აცხადებს: გ. დიასამიძე უმანკოა, სხვამ შეიყვანა შეცდომაშიო.

ასევე ტყვილებითაა სავსე «კავკასიის» უკანასკნელ ნუმერში დაბეჭდილი «ქართული პროცესი ბრიუსელში».

ვისთვისაა ყველაფერი ეს საჭირო? ნუ თუ ესაა ქართული საქმის კეთება?

G E O R G I C A

გამოვიდა ინგლისური პერიოდული გამოცემის Georgica-ს მეოთხე-მესუთე ნუმერი. ეს წიგნიც ისე მშვენიერადაა გამოცემული, როგორც წინანდლები, და შეიცავს მდიდარ მასალას ქართული ისტორიის და კულტურის გასაცნობად: წერილებს გ. გვაზავას, ი. ჯავახიშვილის, გ. ლეონიძის, ხ. ავალიშვილის, ლემან-პაუპტის, ექ. თაყაიშვილის, ნ. ჯანაშია, ალენის, ნ. მარის, გრ. ფერაძის, ა. გუგუშვილის და სხვებისას.

წიგნის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას დაგებუდავთ შემდეგ ნუმერში.

წვილილი ჩედაძეის მიხატო

«კავკასია»-ს უკანასკნელ ნომერში (4-11) დაბეჭდილია სასამართლოს ანგარიში ირ. ცაგურიაზე თავდასხმის შესახებ, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: «საქმის გარჩევის დროს წაკითხული იყო რამდენიმე წერილი ცაგურიასადმი საფრანგეთიდან მიწერილი, მათ შორის გრიშა ურატაძის წერილიც, რომელიც თავის გაბრწყინებულ მეგობარს, სხვათა შორის, სწერს: «შენ გადაამეტე და იმაზე მეტი დასწერე შენს წიგნში, რაც შეგითხარიო».

ვაცხადებ კათეგორიულად, რომ არაფერი ამის მსგავსი არასდროს არც მითქვამს და არც მიმიწერია ირ. ცაგურიასათვის, მაშასადამე მას ვერც წაკითხავდენ სასამართლოში. მთელი ზევით მოყვანილი სიტყვები თავიდან ბოლომდე გამოგონილია და შიგ არც ერთი სიტყვა მართალი არ არის.

გრ. ურატაძე.

ანგარიში ექ. თაყაიშვილის საგამომცემლო ფონდისა დაიბეჭდება შემდეგ ნუმერში. რეც.